

ჩემო საქართველო



აღიქსანდრე ლაზი

ოთხმოცდაათიანი წლების დასაწყისი იყო, საქართველოში შავი ქარიშხალი ბობოქრობდა, არავის ეძღვრებოდა მაშინ... გზად, ქუთაისში, რესტორან „იმერეთში“ შევიარე... პატარა ავანს-სცენაზე იონიკა იდგა. შეზარხოშებულმა ჭარმაგმა მამაკაცმა რესტორნის მომღერალს გასძახა: „ჩემო საქართველო მიმღერე, გულატირებული საქართველოსო!“

მომღერალმა თხოვნა უმაღლესად შეასრულა.

– ვინ არის ავტორი ამ სიმღერისა? – ანაზღად ვკითხე იუზა ბროლაძეს, რომელმაც უმაღლეს დონეზე შეასრულა ეგ სიმღერა.

– ავტორს არ ვიცნობ, მაგრამ ამ სიმღერას მთელი საქართველო მღერისო.

წლები გავიდა და ბედად მერგო ავტორის გაცნობა, ასევე გამეცნო მისი ლამაზი შემოქმედება და დავრწმუნდი, რომ ყველა მისი ლექსი სასიმღეროა, სიტყვები კი, ნამდვილად, სულის სიდრმიდან არის ამოქარგული...

მართალია, არც დღეს ულხინს საქართველოს, მისი სიმღერა იგივე ტირილია, გლოვია, სულის სიმფონიად რომ ესაღბუნება ყოველ სიტყვას, რაშიც სამშობლოსადმი და ყოველი კეთილი ნების ადამიანში დიდი სიყვარულია გამოხატული.

ვულოცავ ალექსანდრე ლაზს ამ ლამაზი წიგნის გამოცემას და ვუსურვებ დიდ წარმატებებს შემოქმედებაში.

*ნარო კოლხელი
(ნარიმან იაშვიაშვილი)*

ISBN 978-9941-9440-6-2

შენ, მამულო, არ მოხარო ქედი...

ჩიტის ჭიკჭიკს მოჰყოლია სევდა,
გაზაფხულის გულიც ნელა სცემდა...
სიო სურნელს არსაიდან ფევდა
და ყველაფერს ირგვლივ სევდა სდევდა.

ირგვლივ ხენნი აფოთლილან მწვანედ
და ელიან უკვე მერამდენედ...
ვინ გამოსცეს გრძნობა ისე მწვავედ,
გაზაფხულის გაცოცხლების მრწამებრ.

ერთი წამით გაქვავდება გედი,
მერე რხევით კვლავ აიდგამს ენას,
შენ, მამულო, არ მოხარო ქედი,
ერთად შევხვდეთ განთიადის ჩენას.

18 მაისი 1995 წ.



ჩემო საქართველო

ჩემო საქართველო, ჩემო საყვარელო,
როგორ აგიტირეს გული,
თითქოს ყოფილიყავ უცხო პლანეტიდან
გადმოსახლებული მდგმური.

შენ რომ ჩაისუტე ეგ სიმართლის კვერთხი,
მიტომ დაგიკაწრეს გული,
მაგრამ არ მოკვდება, ფეხზე წამოდგება
შენში ეგ ქართული სული.

სული ძლიერია, იმათზე ძლიერია,
ვინც შენ დღეს თავზე გაზის.
არ გადაშენებულა და არც გადაშენდება
ფესვები ქართული ვაზის.

ისევ წამოდგება შენი თბილისი და
იმ ფოთს დაუძახებს ფაზისს.
შენ კი აყვავდება, ისინი გაქრებიან,
ვინც შენ დღეს თავზე გაზის.


იმ ღმილის ბიჭებს, შენ რომ გვერდში გეღვა,
გული ეძახოდა შენთან,
მაგრამ იმათ შორის ბევრი აღარ არის,
უკვე აღარ არის ჩვენთან...

გული დაგიკოდეს შენმა ქართველებმა,
ერთად იმ სხვა კანის ფერთან...
ასე ყოფილა და ასე თუ გაგრძელდა,
რაღა ჩივილი გვაქვს ღმერთთან.

ჩემო საქართველო, სათაყვანებლო,
შენ ნუ მიეცემი ფიქრებს,
ისევ ილაღადებს შენში უღრუბლო ცა...
მაშინ გადაწმინდავს ჩრდილებს.

კვლავაც მოვესწრებით მაგ შენს ღამაზ ტყეში
მიჯნურ ფურებსა და ირმებს,
შენ რომ აღარ იყო, ცოტნე მოკვდებოდა,
სული გაჰყვებოდა ფიქრებს...

1994 წ.



ქართველი მაინც თავისას იტყვის

რამდენმა რამემ გადაიარა
ქართული მიწის ლამაზ ტიტებზე.
იმ ქარტეხილმა ცრემლიც შეაშრო
ჭადარა დედას თავის შვილებზე.

რადგანაც ჩვენთან, საქართველოში
აღარ გლოვობენ ცრემლით გმირებზე,
ერის მოკეთე მშობლიურ მიწის
ჩამოსათვლელი დარჩა თითებზე.

უნდა შევიგნოთ ყოველ ქართველმა
ეგ სიყვარული მშობლიურ მიწის
და უნდა გავხედოთ წინაპართ ძვლებზე
წმინდად შემსრულე იმ მტკიცე ფიცის.

თუ ვერ შევიგნეთ, რომ ერთად ვიყოთ,
ყველას მოგვიწევს ის ბედი კვიცის!
ბედი კვიცისა... მგელმა რომ ჭამა,
დიდმა, პატარამ, ეგ ყველამ იცის.


რომ „ჩვენი თავი ჩვენ გვეყუდნოდეს“,
დიდმა ილიამ მაშინ სთქვა იგი,
მაგრამ ჯერ არ ჩანს გარდმოსახედზე,
რომ დამდგარიყო ქართველთა რიგი.

დრო მოვიდა და უცებ დაკარგეთ...
ისევე ქართველმა დაკარგა იგი...
ქართველმა თვისი გაუტანლობით
სხვა ერს დაუთმო თავისი რიგი.

ამ საუკუნის ქართველებში
ორჯერ გამოჩნდა იუდას ფლიდი.
ციხის კარები შიგნიდან ტყდება,
მიტომ ჩაუტყდა ქართველსაც ხიდი.

ქართველი მაინც თავისას იტყვის,
რადგან ზე არის განგება დიდი.
ერთად დავდგებით ილიას რჩევით,
ისევ მოგვივა გზად ჩვენ ეგ ხიდი...

1994 წ.



ს

მგლის მუხლა უნდა იზარღო

მე არ მსმენია მგლის ლეკვი
მასხარა გამოსულიყოს,
ან ნაშიერნი მგლისანი
მელ-ტურათ აჰყოლიდიყოს.

შენ გაიზარდე მგლის მუხლა,
ქართველო, თორემ მტრის იყოს,
ლომი მინახავს წკეპლითა
სცენაზე ამოსულიყოს.

ახსოვდეს ყოველ ქართველსა,
მგლის მუხლა უნდა იზარდნონ.
მათმა მომავალ თაობამ
მათ ძვლებზე უნდა იდარონ.

ჩვენ აღარ დავთმობთ გოჯ მიწას,
მტრებმა რაც უნდა იხარონ.
იბერთ დაზრდილმა ლეკვებმა
ჯავრ მტრებზე უნდა იყარონ!

ჩვენ თუ გონს მოვალთ, ქართველნო,
ფფიცავ წინაპართ მე ძვლებსა,
ფფიცავ სიყვარულს დედისა
და მის დანთხეულ ცრემლებსა.

უნდა შევიკრათ ერთ მუშტად,
რომ შიში ჰქონდეთ ჩვენს მტრებსა,
თორემ გათელავს ყორანი
სვეტიცხოველს და ბეთლემსა.

ქართველი ერის წამქცევი
მე არ მსმენია სხვა ერი,
ქართველმა ისევ ქართველსა
წამოუქცია სახლს ჭერი.

იყო დრო საქართველოში
ერთად რომ იდგა დიდ-ბერი,
მაშინ კი ამ ჩვენს მამულში
ბედნიერ იყო ის ერი.

ვას! ეგ რა ცუდ დროს მოზავადით
სვავებო ამ ჩვენს მამულში,
განა დავითი არა გვეყავს
ან თამარ ჩვენს სამშობლოში.

ღრმად ვერ ისუნთქავთ, სვავებო,
აფხაზეთ – სამაჩაბლოში.
კიდევ იყივლებს მამალი
ჩვენს მშობელ საქართველოში.

1994 წ.

ჩვენ არ ღაჭუშვებთ შინდისფერ დროშას

ვერ დავემსგავსეთ მეჯღანუაშვილს,
არა გვაქვს ქართველთ მოდგმაი მისი,
სარჩო-საბადოს მარჯვენით ვქმნიდით
და სულ სხვა გექონდა, სხვა რიდი სხვისი.

მაგრამ დროებამ ავბედმა ჩვენში,
შაითნის შანთით რომ იდგა ფეხზე,
დამკიდრებასაც ეცადა ერში...
მხოლოდ ეფიქრა, მხოლოდ თვის ბედზე.

ამ ბედუკუდმართ ცხოვრების კვალზე
თითქოს მისუსტდა იმ ბრძოლის არსი
და ავად დასთმენ იმ ტაძრის გზაზე
იქ მიმავალი სიცოცხლის აზრი.

ჩვენ თავს არ მივცემთ... და იმ დინებას
აღარ გავყვებით ფეხდაფეხ კვალში,
კარგადაც ვიცით წუთიერ ვნებას
არ მოჰყოლია კარგი რამ ცხადში.

ქართველო ერო! შინდისფერ დროშას,
ნულარ დაუშვებ გოლგოთას გზაზე.
ყური მიეუგდოთ ჩვენს უკვდავ შოთას,
თუ მართლა ეფიქრობთ ჩვენს მომავალზე!

1994 წ.



ღელე ღურღანი ერთი აქვს ქართველს

რიონის პირას შუაგულ ეგრისში
დავიბადე და ავიდგი ენა,
ჩემმა მშობლებმა მე შემაყვარეს
ჩემი სამშობლოს სუნთქვა და კერა...

ჩემი ბავშვობა იქ გავატარე,
დრო რასაც ჰქვია ზე აღმა ფრენა.
მამა რომ წარსულს მომიყვებოდა,
ხშირად მქონია გულში ცრემლთ დენა...

და როცა უკვე იმ სიჭაბუკემ
ფეხი შემოდგა ჩემს ცხოვრებაში,
კუთხე აჭარას მე მივაშურე
სწავლის ფიქრებით ყმის ფერობაში.

მიველ და დამხვდა ლაღი ბათუმი,
ფეხი შემოვდგი მის დინებაში,
ქართული სული აქ რომ სუფევდა,
ვერ ინატრებდი თვით ოცნებაში.

ღამაში კუთხის ჩემს მეგობრებთან
შემოვიარე მისი მთა-ბარი,
ვისაც გავეცან, ყველამ დასტოვა
თავისებური სიკეთის კვალი.

მათი ფიქრები საქართველოა,
ჩაუქრობელი სანთლის ღამპარი,
დე, ყველგან იყოს ქართულ მიწაზე,
ისეთ სილაღე, როგორც აქ არი.

ქართული მიწის ყველა კუთხეს ვცნობ,
ჩემს სიცოცხლეზე მაღლა დგას ყველა.
თვით თუ არ გიყვარს მშობელი კუთხე,
ვერ შეიყვარებ სხვა კუთხეს, ვერა!

ღელე ღურდანი ერთი აქვს ქართველს,
სხვა გზა აქვს იმას, ვისთვისაც ბნელა.
ჩემი კოლხეთი და ივერთ მხარე
მუდამ იქნება ძმად ფიცის კერა!

1994 წ.

ბათუმო

ევრაზიის გასაყარზე გშვენის შენი სილაღე,
საქართველოს ბურჯად დგახარ,
დაქანცულ სულს მიაძებ.
შენს ქუჩებში ყრმობის წლები მეგობრებთან ვიარე,
შენ იხარე, იღღერძელე, თან იშენე სიმაგრე. ...

მარადიღში მახსოვს შენი გოდება,
შვილთა შენთა სული ზეცას ტრიალებს,
დღეს შვება გაქვს და იშუშებ იარებს,
ისევ დავცლი მოგონების ფიალებს.

იღღერძელე, ჩემო ბათუმ ქალაქო!
ბევრი ცოდო-მადლის ქვეყნად ნანახო,
სიყვარულის უღვეველო მარაგო,
უღრეკელო, ჩემო ბათუმ ქალაქო!

მიყვარს შენი ზღვა და შენი ფერები,
შენს გულ-მკერდზე მოსეირნე მტრედები,
ლამაზები, მხიარულნი, ცელქები,
დამიჯერე, მიტომ მეც გეფერები.

შენი სენი გადაედოს სხვა ქალაქს,
ეგ სილაღეც მოსდებოდეს სხვა მთა-ბარს,
შენს ბუდეში მშვიდად სძინავს ძუს და ხვადს,
გაუმარჯოს ბათუმელების ღამაზ ბანს!

იღღერძელე, ჩემო ბათუმ ქალაქო,
ბევრი ცოდო-მადლის ქვეყნად ნანახო,
სიყვარულის უღვეველო მარაგო,
უღრეკელო ჩემო ბათუმ ქალაქო.

1994 წ.

შენ ზიხარ ჩემად

ირგვლივ სიჩუმე –
არვინ არ გაკრთობს,
შენ ზიხარ ჩემად
ოთახში მარტო.
ფიქრებსი მოდის,
როგორც ტალღები,
საუკეთესო
არის ბაღლები.

მერე დედის და
მშობელი მიწის...
და რაც მოჰყვება
ჩამოთვლა მიჭირს...
მაგრამ ყოველის
სათავე ქვეყნად
იყო და არის
იმ დიდი ნიჭის...

1996 წ.

შემოსძახეთ ძველებური დარდიანი

შემოსძახეთ! რომ აკუნესდეს ჩემი გული,
ყველამ ვიცით თუ რაცა გვაქვს დაკარგული,
ქართველები ხშირად იყვნენ გაღაბულნი,
მაგრამ მაინც არ ყოფილან დაგღაბულნი.

შემოსძახეთ! ვინც ატირა დედის გული,
ვინც პირველად შემოუშვა ჩვენთან მღვმური,
ვინც პირველად მასთან შესვა ვახტანგური
და ფიცის ქვეშ ვინც გატეხა სიტყვა ძმური.

შემოსძახეთ! რომ შეიგნონ ქართველებმა,
ერთ დროშის ქვეშ დაირაზმოს ერმა-ბერმა
და ერთობით რომ იმძლავროს საძირკველმა,
ავ-მუხთლობა ვერ გაბედოს ჩვენმა მტერმა.

შემოსძახეთ! ჩემს საყვარელ ბარსა და მთას,
ერთად დაედგეთ, ყური ვუგდოთ ილიას ხმას,
სამშობლოსთვის ყველა უხმოდ გასწირავს თავს,
ყველა ერთად თუ დაედგებით და ვუხმობთ გვარს...

შემოსძახეთ! რომ გაიგოს ბოძმა ძველმა,
იმ დავითმა, ჩვენმა აღმაშენებელმა,
ქართველთ ღაშქრით რომ გაიფხოს მინდორ-ველმა,
მტერს უგანოს ვიწროებში ერმა ჩვენმა.

შემოსძახეთ! რომ აენტოს გულში ცეცხლი,
რომ სიკვდილიც აირითმოს დაბადებად
და ამ სოფლად რასაც ვსცოდავთ ღვთის წინაშე,
სინანული მოჰყვებოდეს გულში ცრემლად.

შემოსძახეთ! ძველებური დარდიანი,
ღვთის-წილ მიწა დაილოცოს მადლიანი,
რომ გამრავლდნენ ძუები და ხვალიანნი,
დაილოცოს მადლიანი დარდიანი...

1994 წ.

წინ, ვაინახნო, ბიორგის დროშით!

(დაიწერა გროზნოზე თავდასხმის შემდგომ)

წინ, ვაინახნო, ძლიერნო სულით,
გიორგის დროშით, შამილის შუბით...
და შემართება კავკასიურით,
გამარჯვებისკენ მართალი გულით!

რკინის ყუთები, ვით შეშა წიფლის
ისე იწვოდეს გმირთა მიწაზე,
ვალი არ დაგრჩეთ მამულის სისხლის,
მტერს კი ეწვოდეს ტერფნი ქვიშაზე.

ურჩხულთან ბრძოლა გმირთა ხვედრია,
თავისუფლებას რომ ახშობს მუდამ,
დღეს რომ ჩუმად ვართ, ესეც ბედია,
ღმერთო, დაგვიხსენ ამ წუმპე რუდან.

გულ-დაკოდილნი ქართველნი ჩვენში
ემალებიან სიბნელეს ტყეში,
მაღე ვიხილავთ გვერდი-გვერდ თქვენში,
და მაშინ ვნახავთ მტერს ბედშავ დღეში.

რა შემართებით თქვენ ებრძვით მტერსა...
მანდ საქართველოს წველილი დევს დღესა,
ერთად მოგკვეთოთ ის თავი გველსა,
რომ არ გადაცდეს ამავე წველსა...

შენ, დიდო ერო, შვილებსა უხმე,
მანდ რომ ბლომად გყავთ ვაჟკაცნი გენით,
მას საძირკველი არა აქვს უქმე,
თუ ერთ დროშის ქვეშ ვიბრძოლებთ რწმენით.

დრო მოვიდა და დროა ესთქვათ სიტყვა,
აღარ ვაცალოთ მტერს ამოსუნთქვა,
ისე ვეკვეთოთ ვით გრიგალ სეტყვა,
რომ ერთმანეთის გვესმოდეს სუნთქვა.

ერთად დავდგებით, იმარჯვებს რწმენა,
კავკასიელთა გმირთა ხვედრისა,
ენა, მამული, ჭეშმარიტება,
სამნივე ჩვენი გადამრჩენისა...

თებერვალი 1995 წ.

ღმერთო, აგვიხილე თვალი

ასე ნაღვლიანი, ასე დარდიანი
არსად გამიგია ერი,
ნუთუ დაგვიჩოქეს ცოტნე დადიანი
ან ჭაღარა ხევის ბერი.

ქუჩას მიყვები და სევდიან სახეებს
ვეღარ მოვარიდე თვალი,
რატომ დავემსგავსეთ გაშიშვლებულ ხეებს,
ნუთუ ვინმესი გვაქვს ვალი...

ჩვენ ეგ საზღაური უფრო ღმერთის გემართებს,
ვინემ იმ ურჩხულის ვალი,
ჩვენში რწმენის ნგრევას ეშმას სული ანთხევს,
ხელიდან გვეცლება ფარი.

დროა გამოფხიზლდეთ, ყველა დროში, ძმებო,
სანამ გადაგვთელენ ფეხით.
თავისუფლება მხოლოდ ბრძოლით მოვა
და ის აღარ მოვა ნებით.

ნუთუ, ღვთისმშობელო, გასწირავ ჩვენს ერს,
ღმერთო, აგვიხილე თვალი.
თორემ დაეკარგა რწმენა თვით ხევის ბერს,
დაეკარგეთ წარსულის კვალი.

მარტი 1995 წ.

9 აპრილი

ის რა დღე იყო, ის რა ღამაში,
ერთიანობა ერის,
მაგრამ არ იყო ის დღე ცხრა მარტის,
ურჩხულთან დამარცხების.

აქეთ შავლეგოს, იქ საღალღობოს
მღეროდნენ ქართველები...
და ერის ძალა ვეღარ შებოჭენ,
ერთად რომ იდგნენ ძმები.

და როს შეიგრძნო ურჩხულის გულმა
ერთ მუშტად შეკვრა ერის,
მაშინ კი შფოთვა დაუწყო სულმა,
მოიცვა ფიქრმა ბნელის.

ღამაზე ქართველებს, რომლებიც იდგნენ
წმინდა სანთლებით ხელში,
ტანკით, ნიზბებით ვერ მოერივნენ
და ვერ გასტყვენ წელში.

ის რა დღე იყო, ის რა ღამაში,
ერთიანობა ერის,
სულ რომ არ ჰგავდა ის დღე ცხრა მარტის,
ურჩხულთან დამარცხების.

9 აპრილი 1995 წ.



შენ აფხაზეთო

შენ, აფხაზეთო, გულის ტკივილო,
ყოველ ჭეშმარიტ მამულიშვილის...
აბა, მითხარი, ვის რა შევჩივლო,
როდესაც გული სევდითა ტირის.

სევდითა ტირის ათასის გული,
ასი ათასის ცრემლით ნამული,
ვინ დაგვიბრუნოს ჩვენ დაკარგული,
მშობლები, ძმები, დები... მამული.

ვინ შემოგვივლოს იბერთ მიწაზე,
რომ არ ეხაროს მოშურნე თვით მტერს
და გასაყოფი წილ-ხვედრ მამულში,
აბა რა ჰქონდა აფხაზს და ქართველს.

მაგრამ რაც მოხდა, ეგ ძმათა ომი,
წუთისოფლისა ჭირი დევს მასში,
ცოტა მეტ ხანს რომ გვეოლოდა ლომი,
ეშმაკს ვნახავდით ჩაგდებულს ჭაში.

ირანის შაჰმაც დატოვა სიტყვა,
„რომ ქართველს სძლიებს, მხოლოდ ქართველი“,
თავზე დაგვატყდა ვით გრიგალ-სეტყვა,
გრძნეული შაჰის ნათქვამი ძველი.

მისთვისაც ვიძიებთ ასეთ მოსავალს,
იმ უთვისტომო ქართველთან ერთად,
მიტომაც გვთხრიან მტრის შანთით ჩვენ თვალს,
რომ ეგ სიბნელეც გამოჩნდეს თეთრად.

კმარა და გვეყო ერთურთის მტრობა,
სანამ დაცლილა სისხლისგან ერი...
და გონივრული დღეს გვმართებს ბჭობა,
თორემ წაგვიქცეს სამშობლოს ჭერი.

ჭერი მარადუამს შეუდრეკელი,
ჭერი დავითის, თამარ დედოფლის,
ჭერი ათასის ავის მნახველი,
მაგრამ ნაშენი ქართველთა მოდგმის.

აპრილი 1995 წ.

ყვავილის სუნთქვა

მე ყვავილის სუნთქვა მესმის,
ყველა თითქოს გეუბნება,
ნუ მომწყვიტავ არე-მარეს,
რაღა გული გეურჩება.

ნუ დამკრიფავ, ნუ მომწყვიტავ,
განა ამით რა დაგრჩება,
ჩემს სიცოცხლეს, ყველამ იცის,ს
ფერი უცებ ეკარგება.



ვიყო მინდვრად, ბაღში ვიყო,
ვიღალღო და ვინარნარო,
მარტო შენი კი არა და
სხვების გულიც გავახარო.

1995 წ.

თვალახვეულნი

მამის არ გჯერათ, იმიტომ, რომ
გზაზე გაყენებთ.
მამის არ გჯერათ, ამიტომაც
მას არ აყენებთ...

დედის არ გჯერათ, იმიტომ, რომ
მოყვასს ვერ ხედავთ.
დედის არ გჯერათ, ამიტომაც
მასთან ვერ ბედავთ...

ძმობის არ გჯერათ, იმიტომ, რომ
ღალატს სჩადიხართ.
ძმობის არ გჯერათ, ამიტომაც
თვით ღაჩარი ხართ.

მაშ ვისი გჯერათ, თქვე ხვადებო
და ძუღ ქცეულნი,
საით გასცქერით თქვენს
მომავალს
თვალახვეულნი.

ღმერთო, შეშინდე ეგ ცოდვები
დასერილ გულში,
და განმინქარვე ეგ ბოდვები
არეულ სულში.

ისე მატარე მე იმ ქვეყნად,
როგორც ხვედრია
და გლახაკისა მიყავ მცველად,
თუ ეგ ბედია...

მაისი 1995 წ.

მამული დაგვრჩა ფეხზე საღვთო

ზოგჯერ აგიყვანს მოყმის ფიქრები,
წინაპართ ძეგლები რომ აგინებენ,
ჩაუჩანგულ ხმაღსაც დაეჭიდები,
მამულის მტრისთვის რომ აიღებენ.

ცხენსაც შეკაზმავ მორეულ გრძნობით
და კრწანისისკენ გზას აუყვები,
ისინი დგანან გიორგის დროშით...
მხოლოდ სამასი არაგველები.

სამას-მეერთედ შენ ჩაითვლები,
თუკი გაცლიან გზას ბანაკამდე,
მაგრამ რამ მოსპოს ჩვენში მსტოვრები,
კარგად გივლია კიდევ ამ გზამდე.

და ამ ფიქრებში ხედავ ბილიკზე
რადაც აჩრდილმა გადაირბინა,
ტერტერა იჯდა მართლა იმ ვირზე.
შადიმანმა რომ გადაიბირა.

ოხ, ეს დალატი საიდან მოდის,
წითელ ხალად რომ ერს დაშთენია,
ნუთუ ეგ არის წინაპართ მოდგმის,
საუკეთესო, რაც დაგვრჩენია.

გახედავ, ერთგან დალატით მოჰკლეს,
დალატით მტერთან წავაგეთ ომი,
თვით საქართველოც დალატით მოსპვეს,
მამული დაგვრჩა ფეხზე საღვთო.

მაისი 1995 წ.

ახალგაზრდობავ ფრთები აისხი

ახალგაზრდობავ, ფრთები აისხი,
წყვილიადის გზები ალაგმეთ ჩვენში,
რომ ტყვეობიდან იხსნათ მაისი
და უკვდავება აღანთოთ ერში.

ნუ მოდუნდებით და ნუ მოჰყვებით
მღვრიე მდინარის აქაფულ წყალში,
ისედაც ბლომად იშვა მსტოვრები,
რომ მოგვაქციონ ყველანი ხრამში.

დე, გაიღვიძოს გენმა ძლიერმა,
მუსრს რომ ავლებდა მტერს მამულისა,
ჩვენი ერთობით იხაროს ერმა
და სიყვარულით ჩვენი ძმურისა...

თუ გადაგვარჩენს, მხოლოდ ერთობა
და სიყვარული ქრისტეს რწმენისა,
ერთად დავდგებით, წყვილიადის დღენი
განწირულია იმავე წელისა.

რომ ნაშიერნი დავითის, ღაშას,
თამარის, ნინოს, ილიას, ვაჟას,
შეჰქმნიან სულით ჭეშმარიტ ღაშქარს
და ცრემლს მოსწმენდნენ დედის ტკბილ ნანას.

ახალგაზრდობავ, სხივი მაისის,
ნამი აპრილის რომ დაგვშთენია...
კლდეზე მისულმა ფრთები აისხი,
ჰქენი ნახტომი, შენ რომ გჩვევია.

ივნისი 1995 წ.

შეიყვარეთ ქართველებო ერთმანეთი

შეიყვარეთ! ქართველებო ერთმანეთი,
მიწა-წყალი, ეგ მამული ჩვენ გვაქვს ერთი,
სამშობლოსი სიყვარული გვენთოს ერში,
მტრის წინაშე რომ გეფარავდეს მადლა ღმერთი.

იმ ღიმილის ღამაზ ბიჭებს დაუწოქოთ,
მტრის წინაშე ვაუკაცურად რომ იბრძოდნენ,
რომ დაეცნენ ბრძოლის ველზე და სახეზე
მშობელ მიწის სიყვარული რომ უკეთოდნენ.

სანთლად, სანთლად აენტება სახელები,
ღამაზ ბიჭებს სიკვდილამდე რომ დაჰქონდათ,
საქართველოს სიყვარული მკერდში ედოთ
და სიცოცხლე ჩვენზე მეტად რომ უნდოდათ.

დამიჯერეთ, ქართველებო, დედის გული,
ვერასოდეს, ვერასოდეს გაიხარებს,
თუკი ერთად არ დავდგებით მტრის წინაშე,
ღმერთიც გვიწყენს, არასოდეს გაგვახარებს.

შეიყვარეთ! ქართველებო ერთმანეთი,
მიწა-წყალი, ეგ მამული ჩვენ გვაქვს ერთი,
სამშობლოსი სიყვარული გვენთოს ერში,
მტრის წინაშე რომ გეფარავდეს მადლა ღმერთი.

1994 წ.

ცხენისწყალი – ბაზალეთი

ცხენისწყალზე ბაზალეთი განმეორდა,
ქართველები კვლავ პირისპირ იდგნენ
ერთად,
დაივიწყეს მშობელ მიწის სიყვარული,
იარაღი გაიხადეს სალოც ღმერთად.

თმაჭადარა დედა იდგა შუაგულ ხიდზე,
ღმერთს შესთხოვდა ქართველების შერიგებას,
მაგრამ ძმები მომართულნი იდგნენ ისე,
რომ ელოდნენ სისხლის დამქცევ შერკინებას.

ცხენისწყალი, ცხენისწყალი, ბაზალეთი,
თითქოს გაჭრილ ვაშლებივით იყო ერთი...
ქართველებო! ეხლა მაინც შეიკარით,
დედის კალთით რომ გვფარავდეთ მაღლა მერთი.

ქართველებო! დამიჯერეთ, ჩვენს მამულზე,
ვის შეეძლო აეწია შურით ხელი,
მაგრამ ბედერულ საქართველოს მუდამ ჰყავდა,
ისევე მისი გამოზრდილი ძუძუს მტერი.

დედის ცრემლმა და გოდებამ ვერ უშველა,
ძმათა სისხლით შეიღება ცხენისწყალი,
ბედს ვემდურით ქართველები ხშირად ისე,
გვავიწყდება ისტორიის მწარე კვალი.

1994 წ.

ნუ მოგვაკლებ სხივსა მზისა

მზის სხივები მაღლა ციდან
მოფერებით იმზირება,
ზღვის ტალღები ბობოქარი
ისევ ზღვაში იძირება...

რომ გახედავ ზღვის ნაპირებს,
მხოლოდ ცელქებს უმღერთ გული
და რა ხდება ამა ქვეყნად,
ჯერ ვერა გრძნობს მათი სული.

ისევ ბაღებს, ისევ ცელქებს,
მოჰყავთ იგი გაზაფხული,
თორემ ვინდა გაამზერებს,
რაც არს სევდით დადაგული.

ზოგი სევდა სამშობლოსი,
მისი მრუდე სიარულის,
დედის, მამის მონატრების,
უფრო მეტი სიყვარულის...

დიდო მამავ, ზეციურო,
ნუ მოგვაკლებ სხივსა მზისა,
ჩემმა ერმა რომ იწამოს
უკეთესი მომავლისა.

ივლისი 1996 წ.

ჩემი აკვანი მაშ რად დაირწა

მეგობრისათვის კელაპტრად ვიყო,
რომ გაუჭირდეს, მისთვის დავიწვა,
მეგობრისადმი ეგ სიყვარული
ჩემი ბავშვობის წლებში დაირწა.

სამშობლოსათვის მე ის ყმა ვიყო,
მას გაუჭირდეს, მისთვის დავიწვა,
მამულისადმი ეგ სიყვარული
ჩემი ბავშვობის წლებში დაირწა.

პატარა კახის მედროშე ვიყო,
და იმ დროშის ქვეშ ხმალზე ავიცვა,
რაა იგი ჩემი სიცოცხლე,
ჩემი მამული თუ ვერ დავიცვა.

მე სიყვარულის ის მონა ვიყო,
რომ ამ გრძნობისთვის ფერფლად დავიწვა,
რად გინდა მკერდში რომ გედოს გული,
უსიყვარულოდ თუკი დაიწვა.

მშობელი დედის ის ცრემლი ვიყო,
ნაკადულებად გულს რომ დაიქცა,
მადლი იმ ცრემლის თუ არ მეცვრება,
ჩემი აკვანი მაშ რად დაირწა.

1996 წ.

იესოს მცნებით

ცხოვრების შარა შარავანდებით
ვის გაუვლია დღე გაჩენიდან,
დაიმსახურო ეკ სიდიადე,
უნდა იწამო სიყმაწვილიდან.

ვისაც დიდება ზმანებით მოსდის,
ნისლივით ქრება მისი გზაკვალი,
იმ მწვერვალების ეკლიან გზებზე
ჩასაფრებული არის მზაკვარი.

ბრძოლით და შრომით, იესოს მცნებით
უნდა ეწამო შენი ცხოვრება,
რომ შენ ამ გზაზე იმ ჩანაფიქრის,
არ მოგეცალოს წრფელი ოცნება.

იგი ნატვრაა სულთა მოკლეთა...
და ამას ნატრობს ცრუ მიწიერი,
მე მირჩევნია სულის სიმრთელე...
ვიყო გლახაკი და ბედნიერი.

1996 წ.

საქართველოს მთლიანობა დამილოცე

ახალი წლის მობრძანებას გაუმარჯოს!
მაშ შეავსეთ!.. სადღეგრძელო ახლის მოქმედი...
დრო ისეთი მოსულიყოს მტრის ჯინაზე,
საქართველოს მტრებისათვის საკვირველი.

მენატრება ჩემი ძველი მინდორ-ველი,
წინაპართა საღაღობო მთა და მდელო.
მაშ, შეავსე, მერიქიფევე, სასმისები!
ერთად შევსვათ ახალი წლის სადღეგრძელო.

შენ, თამადავ, ერთი სტუმარს დამიხედე!
თუ არა სვამს, სუფრასთან არ გააჩერო!
საქართველოს სადღეგრძელოს თუ არ დაღვეს!
რად აჩერებ, ასეთ სტუმარს მასპინძელო!

ჩემო ერო, თმაჭადარა მყინვარწვერო,
დიდი შოთას და ილიას აკვნის მრწელო,
დამილოცე საქართველოს მთლიანობა,
წინაპართა რომ დაგლიოთ სადღეგრძელო.

წელო, წელო, მომავლისთვის ბევრის მოქმელო,
ქართველების ამისრულე ნატვრა ერთი,
საქართველოს მთლიანობა დამილოცე,
პატარებმა რომ იწამონ მადლა ღმერთი.

1996 წ.

შპპი წიგნი

ქართველებო, წაიკითხეთ შავი წიგნი,
იმ მოკეთის, ბუაჩიძის დაწერილი,
საქართველო სიზმარივით გაგვიქრება,
თუ ვერ ჩავწვდით, იქ რაც არის აღწერილი.

საქართველოს ირგვლივ მტრები ასევეია,
ის ყორნები, დაჭრილ არწივს რომ ერჩიან,
გულუბრყვილო ქართველები ტახტზე ზიან,
და უღმერთოდ ქირქილებენ: – რას გვერჩიან...

ქართველებო, ეგ ფიალა ამოივსო,
ღვინით სავსე კი არა და ცრემლით სავსე.
ვინც ადინა ქართველ დედას იგი ცრემლი,
მიაწოდეთ! ეგ ფიალა ისევ მასვე.

იმ აპრილის საქართველოს კვლავ მოფუსმით,
მტერს რომ მისი განსენება შიშის ზარს სცემს,
მეფისტოლე სანთლებით რომ უკუაგდეს
და ერთობის ძალა ჩვენ რომ დაგვანახეს.

„შავი წიგნი“ საქართველოს მტრებს თუ აკრთობს,
სამრეკლოდან ზარების ხმა თუკი გვესმის,
ყვაყორანთა, აღესილი მზერა მაკრთობს,
დაფლეთილი საქართველოს კენესა მესმის.

1996 წ.

იქნებ დროა

რა სატანა გადმოგვეყურებს,
ვინ დაგვწყველა აგრე კრულად?
ჩვენი ვინმეს არა სჯერა
და გვიყურებს ყველა მტრულად.

უგუნურთა ჩვევა – წესი,
მონათლა უწმინდესად,
ყველა მსტოვარს ფარი მისცეს,
რომ გაირყვნას უარესად...

კაცი! თავზე არას ფიქრობს,
თუგინდ წარსდგეს განსასჯელად,
წინაპართა ადათ-წესი,
რად მიგაჩნით უკვე ძველად.

ერთხელ განვსჯით, ცხრაჯერ გავსჭრით,
აგვერია გზა და კვალი,
მამას ვთელავთ, ჯვარზე ვაცმევთ,
მამინაცვლის კი გვაქვს ვალი.

ზეციურო, გადმოგვხედე,
იქნებ შენც თქვა ჩვენზე ძვირი,
იქნებ დროა საქართველომ
სამუდამოდ მისცეს ძილი...

1997 წ.

დედა

დედამ შობა ამა ქვეყნად,
რაც რომ ირგვლივ სულდგმულია
და ის წყაროც ნაკადულად
მისი ცრემლით ნამულია...

ის ფესვები, რაზეც ვდგევართ,
მისი ძუძუს ნაჟონია,
ამა ქვეყნის სიყვარულიც
მისი სულის ნაყოფია.

ჩემო დედავ, ბევრი ღამე
თეთრად გაგითენებია,
და ცრემლები იგი მწარე
ჩვენთვის არ გინახებია.

დედავ, ჩემო ტკბილო დედავ,
მენატრები, რომ ვერ გხედავ,
მე სიყვარულს მასზე უტკბესს,
ამ სამყაროს ვერა ვხედავ.

მაპატიოს ყველა დედამ,
ვერ გადმოვსცემ რასაც ვხედავ,
ღვთის ნაბოძებ ყველა მადლით,
იდღეგრძელოს ტკბილმა დედამ.

1995 წ.

მტერი ერთი ჰყავს ალბეთის შვილებს

იბერთ მიწაზე ორ ძმათა შორის
გაიბა ომი უსასტიკესი,
იგი არ ჰგავდა ბრძოლას დიდგორის,
მაგრამ ტყვიები ქუხდნენ ვით კვესი...

ორთავ ძმა იყო, ეგრისის შვილნი,
ურჩხულს კი მათკენ ეჭირა თვალი,
ძმებ გადაჰკვიდა, უნახა დრონი
და ძმათა შორის ავარდა ალი.

იმ ქარცეცხლიან დღეებში მტერი
მსტოვართ ჭურვებით ამარაგებდა,
ადრე მოცელა ჭკვიანი ბერი,
ძმებში რომ იდგა და განაგებდა.

ახალი წელი რომ თენდებოდა,
ბათუ აფხაზი გუმისთას მიდგა.
ქართველსაც გული რომ უკვდებოდა,
მდინარის მიღმა უჩუმრად იდგა.

ბათუმ შესძახა: შენ, ჰე, ქართველო!
თუ შენში არის ქართული სული,
გადმოდ, დავლით ჩვენ სადღეგრძელო
და ამ ახალ წელს გავიხსნათ გული.

დაჩიმ შეიხსნა საჭურვი თვისი
და გადაცურა მდინარე გუმი,
იქ ბათუ დახვდა, როგორც ძმა მისი,
მათ სადღეგრძელო დალიეს ჩუმი...

ისინი ერთად ისხდნენ ცისკრამდე,
ფესვებს ღოცავდნენ მშობლიურ მიწის,
აღარ ეძინა „აღა მაჰმად ხანს,“
შურით მოშურნეს ამ ძმათა ნიჭის.

აღიონისას ზეზე წამოდგნენ,
დაემშვიდობენ ძმურად ერთმანეთს,
ხვიჩას და გოჩას ძმები გამოდგნენ,
რომ არ ინდობდნენ მტრისთვის მის ალგეთს.

გათენდა დილა, ისევ ჩააგდო,
მტერმა ძმებს შორის ახალი ტყვია,
ძმად შეფიცულნი ისე ააგდო,
ისარგაყრილი გული რომ ჰქვია.

შემოუტყეს ძმებმა ერთმანეთს,
სისხლისფრად იქცა მდინარის წყალი,
ბათუ და დაჩი მოჰკლეს იმ ალგეთს
და აღარ დარჩათ არაფრის კვალი.

მათი შვილები ობლად იზრდება,
და არ იციან ძმა მოჰკლა ძმამა,
მაგათ მიწაზე მტერი მკვიდრდება,
აღარ ადარდებს არცერთის მამა.

და ზეცად ახლა ბათუ და დაჩი
წინაპრებისგან დგანან ხიზანნი,
უჯავრდებიან, დროზე ვერ ყნოსენ
და ვერ გაიგეს მტრისა მიზანი.

მათმა სულებმა უნდა შთაბერონ
დარჩენილ ობლებს იმ მიწის სული,
ამ სიყვარულში რომ შეაბერონ
ჩვენმა ობლებმა ჩაგრული გული.

მტერი ერთი ჰყავს ალგეთის შვილებს,
თვით რომ თავისა მტრები არიან,
საქართველოში ვინ მოსთვლის გმირებს,
მტერი შეიკრას რაგინდ ძალიან.

ბევრი მომხვდური აქ დაღუწილა,
ბევრიც მომავალს დაიღუწს ცხვირსა,
გველს რომ ჩაისვამ უბეში, ძმაო,
უნდა გახსოვდეს მოღვამი მისა...

და თუ ეს კიდევ არ გამოდგება
დიდ გაკვეთილად ჩვენი მოღვმისა,
ახია ჩვენზე ყველა ტკივილი,
განგებისაგან რაც რომ მოგვდისა.

1997 წ.

ყველაზე ძლიერს დაუმონებელს

ყველაზე ძლიერს დაუმონებელს,
რა ჰქვია ქვეყნად, აბა, ვინ მეტყვის?
იქნებაც ვინმეს მონებს აჩრდილი...
მოღრუბლულ ცაზე გრიგალი სეტყვის...

იქნებაც ვინმეს მონებს აჩრდილი,
სადღაც სტეპებში მბორგავი ლომის,
იქნებაც ვინმეს მონებს აჩრდილი –
ჟღერებლო ცაზე გავარდნა თოფის...

იქნებაც ვინმეს მონებს აჩრდილი,
თავის უიღბლო დაცდილი ბედის,
იქნებაც ვინმეს მონებს აჩრდილი
ქარის მოტანილ ოქროს და ვერცხლის...

ყველაზე ძლიერს დაუმონებელს
ჰქვია ტაძრისკენ მხნედ სიარული,
ხოლო მეუფეს უძლეველობის
ღმერთისა რწმენა და სიყვარული.

1999 წ.

* * *

განაგდე ფიქრი ყოველი,
უფლისგან დასაწუნია,
და მოიშველე სიმდაბლე,
ეშმაკთა დასათრგუნია.

1999 წ.

შენ მეზურნევ დაუკარი

მშიერ ქართველს, მწყურვალ ქართველს,
მაგრამ მაინც, მაინც ქართველს ვენაცვალე.
ვინც არ ყიდის თავის რჯულს და
ვინც ლემისთვის არ გასცემს სულს,
მე იმ ქართველს, მე იმ ქართველს ვენაცვალე.

რით გადავრჩით და შემოვრჩით
ქარტეხილებს, დროთა ტრიალს,
ყვავ-ყორნები თავს ეხვია
საქართველოს ისტორიას, საქართველოს ისტორიას...

შენ მეზურნევ დაუკარი,
კვლავ მოუხმე არაგველებს,
გორგასალის ხმაღს მოუხმე,
არსაკიძის მარჯვე ხელებს,
არსაკიძის მარჯვე ხელებს...

ლაზებო და აფხაზებო,
აჭარლებო, გურულებო,
სვანებო და რაჭველებო,
იმერლებო, არგველებო,
ქართლებო, კახელებო,
ხევსურ-ფშაველ-მთიულელებო,

ერთად დავდგეთ ერთი სულით,
მტრის წყურვილით სნეულებო,
მტრის წყურვილით სნეულებო...
მშიერ ქართველს, მწყურვალ ქართველს,
მაგრამ მაინც, მაინც ქართველს ვენაცვალე.

1999 წ.

არ მინდა ვისმეს ეტკინოს გული

თქვენს ფიქრს ვკითხულობ, მე გითანაგრძნობთ,
გინდათ რომ გახდეთ ყველგან პირველი,
მაგრამ ფიქრები ნუთუ ვერა გრძნობთ,
აგეკვიბათ გასაკვირველი.

ღამაზი ქალი თვალის ჩინია,
სხარტი ლექსი კი გონის ტალკვესი,
არ უნდა გახდეთ გულით ფინია,
რომ არ მოგაკლდეთ დროის აღერსი.

ღამაზი ქალის გიყვარდეთ სული,
კარგი ლექსის კი მწველი გრძნობები,
არ მინდა ვისმეს ეტკინოს გული,
მე ჩემს იალქნებს დაველოდები.

1995 წ.

ერის სულო დაქანცულო

ყველა ტკივილს, ყველა წუხილს
დრო ჰყავს მხოლოდ მკურნალიო,
ვერ უშველის, თუგინდ ღვარო
დღე და ღამე კურცხალიო.

მაგრამ დიდი შვება არის
თანაგრძნობა სანატრელი,
ყველა ტკივილს მუსრს რომ ავლებს
და იმ სულის გადამრჩენი.

და ეს ნიჭი თანაგრძნობის
ყველას როდი აბადია.
ზოგსა ქურქად სიკეთე აქვს,
ზოგსაც კიდე ნაბადია.

უფალს მადლობს მორჩილებით,
ვისაც ავსებს ზე მადლიო,
რადგან სულგრძელს ვედარ ჰმონებს
ოქრო, ვერცხლი, სხვა განძიო.

მე ქართველის, ჩემი ერის,
შიგ ძარღვებში მიჩქეფს სისხლი,
მოთმინება ჭირ-ვარამის,
მაგრამ მტრისთვის ძალზე ფიცხი.

შენ, ტკივილო, ზღვარს მისულო,
ერის სულო, დაქანცულო,
ადარ შედრკე მტრის სიჭარბით,
საქართველოვ, დაცმაცულო...

დღეს გეჭირდება ერთად დგომა,
ისე, როგორც არასოდეს,
მტერს აღვუდგეთ ვით მახვილი,
მას ასეთი არ ახსოვდეს...

1999 წ.

ვერცხლზე გაყვდიღო

ოაზისივით ღამაზი იყო
ჩემი სამშობლოს ის გაზაფხული,
წმინდა სანთლები ღამის წყვდიადში
ვარსკვლავებით განათებული.

სადღაც ურჩხულის ისმოდა გმინვა,
ღამარცხებულის, გაავებულის,
აქ კი ქართველთა ხმები ჰფარავდნენ
ღაღოს სიმღერით გამარჯვებულის.

საუკუნენი გადმოჰყურებდნენ
ქართველთა დედის ცრემლით ნამული,
რა ახლოს იყო თავისუფლება,
ეგრე ნანატრი ჩვენი მამულის.

ვინ მოიგონა ჩვენი სიმცირე,
ან ვის დასჭირდა იგი ზღაპარი,
მონობას აროს არ შესჩვევია,
ჩვენი ჭაღარა მამა-პაპანი.

ვერ დავიცავით, ვერცხლზე გაყვდიღო,
ჩვენ ქრისტესავით ის გაზაფხული.
ჯოჯოხეთსა ჰგავს დღეს ეს მამული,
ცაში აფრენას ნატრულობს სული.

1997 წ.

დღე დაუდგებათ შადიმნებს

მიწიერ საქართველოში
პაპათა ძეგლები მარხია,
ზეციურ საქართველოში
მათი სულები ანთია.

ქვეწარმავლები მომრავლდნენ,
თეთრი გამოჩნდეს ბნელადა,
სულს გაუფრთხილდით, ქართველნო,
ხორცი მიუგდეთ ლეშადა.

გამოანგრევენ საფლავეს
ეგრისისა და ქართლისა,
აენტებიან სულები
იმ ჩენი მამა-პაპისა...

მაშინ კი ნახე ჩოჩქოლი
ჩენში ცოცხლებად მკვდარისა,
დღე დაუდგებათ შადიმნებს
გრიგალისა და წარღვნისა.

რწმენა იმედით აღვუდგეთ
ყოველგვარ ბოროტებასა,
უფლით ნათელი დაურჩეს
იმ შოთას სიბრძნის მცნებასა.

და როს ცისკარზე ვიხილავთ
მზისა ამოსვლას სხვაგვარსა,
მჯერა, რომ ჩემი ქართველიც
ალაღებს მისსა მთა-ბარსა.

1999 წ.

დედა

დედავ, მუდამ თვაღწის მიდგას
შენი თბილი თვალები,
დამყვება და არ მშორდება,
სადაც დავიარები.

დედავ, ჩემო ტკბილო, დედავ,
ბევრჯერ გული გატკინე
და წუხილი ამა სოფლის
ვერა, ვერ აგაცილე.

ეს ცხოვრება ჩემმა ბედმა
ბოშასავით მატარა,
და შენს გვერდით, შენთან ყოფნა,
არა, არ დამაცალა.

დამიჯერე, ჩემო დედი,
სულზე უფრო მიყვარხარ,
უჩემობას იმ ტკივილით
სიბერემდე მიჰყავხარ.

ღმერთი არის, ჩემო დედი,
ჩვენი სულის მფარველი,
სხვა წყალობა არც მქონია,
არც მინდა და არც ველი.

მჯერა ჩვენი მზეც გამოვა,
ჩვენს ქუჩაზეც ინათებს,
დაგვაღიწყებს წარსულ ტკივილს,
მოგვიშუშებს იარებს.

ჩემო დედი, იღლეგრძელე,
მუდამ დედის დღე არის,
გარეთ ვხედავ რომ ანათებს,
აღბათ ჩვენი მზე არი.

3 მარტი 1999 წ.

ჰე, მამულო, გაიღვიძე!

გაზაფხულზე აფეთქდება,
ჩვენთან ყველა ყვავილი,
ჩიტის ჭიკჭიკს მოჰყოლია,
სუნთქვა ყველანაირი.

მთაში თოვლი დნება ჩუმად,
ნაკადულად ჩამოდის,
მზე ცისკარზე აღმასებით,
სულ სხვა ფერით ამოდის.

ჰე, მამულო, გაიღვიძე!
ბრძოლაშია სიცოცხლე,
თუ მომავალს არ აღგები,
მე რად მინდა სიცოცხლე.

ეს გოლგოთა შენთან ერთად
ფესშიშველი ვიარე,
ერთად დგომა თუ მომირჩენს,
წყლულმორეულ იარებს.

იქნებ თავიც შეგვახსენონ,
ბოროტების გამრეებმა,
და კვლავ აღსდგეს მამულისთვის,
საქართველოს შეილებმა.

9 მარტი 1999 წ.

შეზონება

როცა შვილი იბადება,
ძე არის თუ ასულიო,
მოვლა უნდა, აღზრდა უნდა...
არა თავზე გასულიო.

ნებივრობით შვილის აღზრდა
შემდგომ ისევ მასვე ავნებს,
ვერც მშობელს და ვერც ქვეყანას,
სასიკეთოს არას არგებს.

მერე გვიან დაგირჩების,
გოდება და გრძნობის ბოჭვა,
ბოღმით აღვსილს ვერ გიშველის,
თანამგრძნობთა გარემოცვა.

ერთსაც მოგაგონებს ღმერთი,
თუ გიკითხავს “გამზრდელიო”,
ამის შემდგომ შენს საქციელს,
რად ჰპატიობ, რად შველიო.

მოკლედ ითქვა იგი სიტყვა,
„ვით შაირი მელექისა“,
ვინაც შვილი ეგრე ზარდა,
კეთილ ნაყოფს ვერ ეღირსა.

1999 წ.

აღსდამ საქართველო!

შენ აჭარავ, ძირძველო და გატანჯულო მხარე,
შენი სუნთქვა ამადლებით გული გამიღალე.
მშობელ დედას დაუბრუნდი, ვიცი რაც იწამე,
საქართველოს სიყვარული ფრთებით დაიფარე.

მოციქულთა მადლი გეცხოს მთვარის ჩაქრობამდე,
მომავალი ხმას გაწვდიდეს აკვნის გამოთლამდე.
ვარსკვლავები კვერს გიკრავდნენ ცისკრის
გამოსვლამდე,
მე კი შენი მონა ვიყო სულის ამოსვლამდე.

მინდა შევესვა სადღეგრძელო! მყინვარწვერის თავზე,
კაგკასიონს გადავხედო სიყვარულით სავსე...
ძმათა ჩემთა მტერი ვაცვა სააკაძის ხმაღზე,
თავი დავდო ცოტნესავით, მხოლიდ ერთობაზე.

ეგ ფიალა მომაწოდეთ! ხვანჭკარათი სავსე,
მინდა დავდგე წინაპართა, ძვალთა ნამუხლარზე,
და დავლოცო, მათი სულთა ძლიერება სავსე,
რომ კვლავ დადგეს საქართველო,
ერთი რწმენის გზაზე.

1999 წ.

მანც მომავალს მოაქმს ნათელი

მოდრუბლულ ცაზე ღრუბელი დაკრთის,
ვით ანგელოზნი გარიყულ ცისა,
ფოთლები რწევით იფანტებიან,
გაშიშვლებული ტირიფის ხისა.

გიორგობისთვის ცივი ნიავი,
ჭექა-ქუხილს და ფანტელებს უხმობს,
და ზამთრის სუსხის კარის ჭრიალი,
წყლულმორეულებს იარებს უქრობს.

სადღაც დილეგში ობოლი სული,
იმ უფლის რწმენით წყვიდადში ბორგავს,
და მოთმინება ვითარც ღვთიური,
ზეციურ მადლის სამოსით მოსავს.

ვით შემოდგომის ფოთლები რწევით,
იფანტებიან სამოთხის კარად,
დაგეგებიან ძველი წყლულები,
ჭეშმარიტების ხიდად და ფარად.

მოდრუბლულ ცაზე ღრუბელი დაკრთის,
ვით ანგელოზნი გარიყულ ცისა,
სწორედ დღეს ხდება აპოკალიფსი
და დგება ჟამი უფლის მოსვლისა.

1999 წ.

დააკვირდით ბოლო ჟამის ნიშნებს

ცის მნათობებს დაეკარგათ ფერი,
და სისხლისფრად იფერება მთვარე,
რწმენა ისე ითელება უფლის,
თვით იესო შემოგვიკრავს ზარებს.

დააკვირდით ბოლო ჟამის ნიშნებს,
ნინეველთა ბრძოლა მიდის მწარე,
ამ ტანჯვაში ვინც იწამა უფლის,
იმავე რწმენით გადარჩება მალე.

შემოჰკარით, შემოჰკარით ზარებს,
წარსულ ჟამთა უდებებით მკრთალებს,
თორემ ღმერთი თუ გაგვიწყრა მწარედ,
დაგვიხურავს სასუფეველის კარებს.

თუნდ ამ ქვეყნად შემძულოს ყველამ
და ზვარაკად შევეწირო სოფელს,
იბერია – ჯვარი არის ჩემი,
ძე უფლისამ რომ უკურთხა მშობელს.

ნინეველთა ბრძოლა მიდის მწარე,
დაუნდობლად იკორტნება ძერა,
ამ ბრძოლაში გაიმარჯვებს იგი,
ვინაც რჯულის არ გაყიდა რწმენა.

2000 წ.

უფლის სახლში მაცხოვარი მოთმინებით გველოდება

იბერიას გადაარჩენს გულით ღოცვა
და ღვთისადმი სინანული გადაარჩენს,
არც ერთ მეფეს აღარ ძალუძს ქვეყნის მართვა,
თუკი სულით მიწიერის მონა გახდება...

რაც კი ტანჯვა და წამება გავიარეთ,
კიდევ ბევრი განსაცდელი გველოდება.
უფლის სახლში მაცხოვარი მოთმინებით
მობრუნებას და ჩვენს ხილვას ელოდება.

ქართველებო, დაეუწოქოთ ჯვარზე ვნებულს
და ხელმწიფეც ავად აღარ გაგვიხდება,
ჩვენი თხოვნა და ვედრება უფლისადმი
სიზმარივით, სიზმარივით აგვიხდება.

ზურგშექცევა უფლისადმი არას გვარგებს,
მხოლოდ მისკენ მობრუნება გადაგვარჩენს,
ბოღმით აღვსილ და მომართულ მტრის მახვილსაც
ბნელი ღამის და წყვდიადის სანთლად აქცევს.

ყველამ, ვისაც შეუძლია თავის მოხრა-ვედრება,
სანამ წყვდიადს დაუპყრია, სანამ ირგვლივ
ბნელდება,
დღეში შეიდჯერ აღავლინეთ უფლისადმი ვედრება,
მერე ნახეთ ჩვენი სულის და მამულის მშვენება.

2000 წ.

უნდათ მოჰკლან საქართველო მარად

ვხედავ წყლულებს ემატება წყლული,
ერისკაცებს ჩაფიქრება გმართებთ,
ანტიქრისტეს მოსრიალებს სული,
ჩაგვიღეწავს სასუფევლის კარებს.

სიძვა-გარყვნის და მრუშობის მცნებებს
ასწავლიან უმანკოთა გულებს
და აცლიან ღვთისმშობელის კერას
უნეტარეს ღვთივ ბოძებულ სულებს.

ჩანაფიქრი თუ გაუვა მტარვალს,
ჩვენ მოგვეკვეთავს ჯოჯოხეთის ცელი,
გაუდგება სოდომსა და გომორს
წამებული ღვთისმშობელის ერი.

მოძღვარი ხარ, ბერი ხარ თუ ერი,
გავიღვიძოთ, ავახილოთ თვალი,
ხედავთ, როგორ მოდის ნიაღვარი,
წინ აღვუდგეთ და შემოგვკრათ ზარი!

ბნელეთიდან დიდი ფული მოდის,
რომ მზაკერულად ჩაითრიოს ერი,
აბა, კარგად ჩაუფიქრდით, ხალხნო,
ვის რას არგებს უწმინდური გველი.

შხამს გვიმზადებს ანტიქრისტე წყნარად,
უნდათ მოჰკლან, საქართველო მარად,
არას გვარგებს, დადუმება არად,
ქრისტეს რჯული ჩავიხუტოთ ფარად.

შემოჰკარით, შემოჰკარით ზარებს!
ეკლესიის კარიბჭესთან მდგარებს,
დედის კალთას შევაფაროთ თავი,
წუთისოფელს დარჩენია წამი.

2003 წ.

ქართველნო, ლოცვას ეშურნეთ!

ფიროსმანივით განწირულს,
მუხლად ვუწოქებ ღმერთს,
მომეცი ძალი მოთმენის,
მხოლოდ ამას გთხოვ ერთს.

უდაბნოს ქარი ჩაივლის,
ღრუბლებს გაჰფანტავს მზე,
წყვიადის დამტყვევებელი
ცისკრით გამოჩნდეს დღე.

მაშ, რად ვუწოდებთ ჩვენს მამულს
ღვთივ წილ ხვედრობის დარს,
ბევრი ქართველის სიკვდილი
იესოს სიკვდილს ჰგავს.

რადგან მოშურნეს მოკეთედ
ვაქცევთ, გავუხსნით გულს,
ხოლო ძმასა და მოყვასსა
შანთით ვუწამებთ სულს.

ქართველნო, ლოცვას ეშურნეთ!
ცრემლი აკურეთ თვალს,
რომ სული რწფელი დაბადოს
ამ ჩვენს უძღებსა გვამს...

2002 წ.

ბიორგი (იური) ანუას და მამა ანდრიას (ყურაშვილის) ხსოვნას

ჩვენ რომ დავშორდით ერთმანეთს
ქართველ აფხაზი ძმები,
მიტომ იწყინა უფალმა,
დღეს გვიან, მაგრამ, ვხვდები.

სულ სხვა ენაზე დავიწყეთ
ბჭობა, განსჯა და ფიქრი...
შენ მოგვიტყევე, იესო,
მუხლს შენს წინაშე ვიყრი.

გიორგიმ ხიდი აშენა
ქართულ-აფხაზურ ძმობის,
ეკლესიები ამშვენა,
ჩვენი იქ ერთად დგომის.

არ გავახართ მამულის
ქვეშემძრომთა მდრნელი,
გუდა-ნაბადი ავაკრათ,
გზას გავუყენოთ მტერი.

გიორგის, მამა ანდრიას,
სისხლმა გვიკურთხა ერი,
დროა, აფხაზნო. ჩავჭიდოთ
ერთმანეთს მჭიდროდ ხელი.

კამანის ცაზე რომ ენთო
მჭერ-ოქროპირის სვეტი,
მას მოემატა ნათელი
და ორჯერ გახდა მეტი.

თქვენი ჭირიმე, აფხაზნო,
ერთგულნო მშობელ მიწის,
ძმად შეფიცულნო ქართველნო,
დამცველნო მტკიცედ ფიცის.

შვილ-დაღუპულო დედებო,
მწარე ტანჯული ბედის,
ჩვენს შერიგებას რუდუნით
უფალი თმენით ელის.

და შვილნი ღვთისა გიორგის
გულში იკრავენ ჯვარსა,
მამის ნაკვალევს მიჰყვება
სანთელ-საკმეველ გზასა.

მამა ანდრიავე, დალოცე!
აფხაზ-ქართველთა მხარე,
თქვენს საფლავს უნდა ვემთხვიო,
მე მუხლმოყრილი მალე.

2000 წ.

ემიგრანტები

ვერ დავიცავით აპრილის
სისხლითა მონაპოვარი,
არ დაგვეღია ქართველებს
მანქურთნი ძუძუს მსტოვარნი.

იუდა ჩამოაბრძანეს,
იმ სუსხი ჩრდილო მხარიდან,
ზოგი ტყიდან-ტყე გარბოდა,
ზოგიც მეზობლის კარიდან.

ვიცი რა ცრემლით დატოვეთ,
სახლ-კარი, დედა, მამაო,
გული გეწოდათ ცოდოსგან,
მე თქვენი ეგრე მწამაო.

დატოვეთ შვილნი და ძმანნი,
კარის ზღურბლებთან მდგარია,
ტანჯვა-წამებით ატარეთ,
ერის უმწიკველო ჯვარია.

რამდენი დამე ათენეთ,
ცრემლებითა და დარდითა,
მჯერა გფარავდათ უფალი,
ღვთისმშობლის კალთით მადლითა.

მე შვილი ვნახე, შვილის წინ,
მუხლ-მოყრით იყო მდგარია,
ლექსოს აკრთობდა მძინარეს,
ღედის ცრემლები მწარია.

გეამბორებით, ქართველნო!
მარგალიტებო ერისა,
თქვენი ჯვარცმული ცხოვრებით
გადამრჩენელნო კერისა.

ბოლო ჟამია, გახსოვდეთ,
ჩვენ დავეუტევეთ წყენასა,
რომ ანტიქრისტიეც დასთრგუნოს,
ერთობამ ჩვენის ცქერასა.

უწმინდესისა ვისმინოთ,
არა რას ამბობს ძნელასა,
სამშობლოს წიადს მოგიხმობთ,
დიდსა პატარას ყველასა.

2012 წ.

მასწავლებელი

რუსთველსაც ჰყავდა მოძღვარნი რჩეულ...
ნეტარ არიან ისინი დღესა,
და მათ გარეშე ველარ შეიგრძნობ,
მადლით ზენას და ანთებულ მზესა.

ველარ შეიგრძნობ მშობლისა ამაგს,
მამულის ტკივილს და მწუხრს ზეცისა,
მასწავლებელი კელაპტარია,
წუთისოფელის გზების ბნელისა.

ვინც შეიყვარა გოგებაშვილი,
და დედა-ენა ჩაიკრა მისი,
უფალი განსჯის, თვითონ მიუზღვავს,
თუ ის ამქვეყნად რისია ღირსი.

საქართველოში ოსტატ-მოძღვარნი,
იყვნენ რჩეულნი უბადლო ნიჭით,
აღბათ დროებამ გამწირა ისე,
მათზე მოყოლა ძალიან მიჭირს.

სანამ მზე მზეობს ცის კაბადონზე,
გაიფანტება ღრუბელი ეშმის,
რადგანაც უკვე აქ მეფისტოლის
მწარე გვემა და ღმუილი მესმის.

გულით ვუსურვებ ყველა პედაგოგს,
ჭეშმარიტ მოძღვარს წუთისოფლისა,
უღრუბლო ზეცა დღით დანათოდნენ,
ღამის წყვდიადში ვარსკვლავნი ცისა.

2 ოქტომბერი 2002 წ.

შენი ჭირივე, ვაჟაო!

შენი ჭირივე, ვაჟაო!
თქვენით მიდგია სულია,
ზეცაში დაბადებულნი,
წუთისოფლისა მდგმურია.

თქვენი ნათელი ბილიკით
მივალ, მივეყვები გზასაო,
ვერ გადავიხდი მგონია,
თქვენებრ ჭეშმარიტ ვალსაო.

ტანჯვა-წამებით დავდივარ,
სისხლ ცვარად მამდის ტანსაო,
უფლის შეწვენა რომ არა,
ვერ გავუძლებდი ავსაო.

ვერ გავუძლებდი სამშობლოს,
თავზე მოხვეულ ჭირსაო,
ჩვენზე მოწეულ ცოდვათა...
ყოველი მისთვის გეჭირსაო.

ბოლო ჟამია ეტყობა,
იქნებაც მორჩეს ყოველი,
და განიწმიდოს მარადის,
ცოდვისგან წუთისოფელი.

2000 წ.

ჩემო ლაზიკა

სამეგრელოვ, იავნანა შენი მომნატრებია,
შენი მთა და შენი ბარი იასამნის ფერია,
ჯვარი ღვთითა თუ იტვირთე, ევეც შენი ხვედრია,
ენგური რომ აზვირთდება, ვიცი, შენი ცრემლია.

რომ გოლგოთა გასავლელი თავ-აწვევით იარე,
ღმერთი მალე მოგიშუშებს წყლულ-მორეულ იარებს,
შენთა შვილთა საქმეები აქ ჩვენს ირგვლივ ტრიალებს,
საქართველოს სიყვარული მაგ შენს გულში ფრიალებს.

სანამ ქრისტე მოვევლინა იმ ბეთლემში მადლითა,
მამამ შექმნა სამყაროში კოლხთა მიწა ლაზიკა.
ევრაზიის გასაყარზე გაღაღებდა შავი ზღვა,
ისტორიის ქარიშხალმა ეგ წალკოტი გარიყა.

სული ბორგავს, ნოსტალგიით მაინც მიდის ცხოვრება,
დაკარგული არ გასვენებს, სევდა აღარ გშორდება,
ივერია და ეგრისი თავის სხეულს შორდება,
ამიტომაც მესმის შენი სამრეკლოდან გოდება.

სამეგრელოვ, შენი სიტბო მაშინა სთქვა ილიამ,
საქართველოს სიყვარული გულში რომ გაილია.
ვინც არ იცის სამეგრელო, ვისაც არ უხილია,
როგორ იტყვის, რომ ის ერის ღირსეული შვილია.

იბრძოდი და საქართველოს მთლიანობას იცავდი,
მჯერა კვლავაც არ შედრკება მტრის სიუხვე სიჭარბით,
იქ დადგება ლაზი მუდამ, სადაც ქარიშხალია,
საქართველოს სიყვარულში რომ არა აქვს ვალია.

სამეგრელოვ, განსაცდელი, აბა რა სათქმელია,
ქრისტესავით ჯვარზე გაკვრა შენი წილი ხვედრია,
რა დროს შენი ბორკილია, რა დროს შენი მტრებია,
საქართველოს დღეს სჭირდება ცოტნეს ჯიშის ძმებია.

მამელუქის ნანა მესმის იმ უდაბნოს ხრამიდან,
ტყონდიდელმა რომ აღზარდა მეფე აკენის ნავიდან,
ზვიადი და საქართველო ერთი იყო თავიდან,
შენ ღვთისმშობლის კვართი
გფარავს ქრისტეშობის წამიდან.

ვსასოებ და გულით მჯერა, კვლავ აღსდგება ფაზისი,
იქნებ კვლავაც განმეორდეს დიდგორი და კრწანისი,
ახლა გემართებს ერთად დგომა განდგომილი და-ძმისი,
მტერმა რომ ვერ აისრულოს ჩანაფიქრი თავისი.

ჩემო ნანავ, ტკბილო ნანავ, ეგრისის და ქართლისავ,
ვხედავ, როგორ დაგიფლითეს, კალთა სამოს კაბისა.
მწყურვალს შანთით გასვეს ძმარი,
მონვენებით წყალისა,
მაინც ვეღარ დაგაჩოქეს რწმენით მომავალისა.

ჩემო ტკბილო სამეგრელოვ, ნანავ, სულის ჩამბურო,
ბევრი ცოდო-მადლის ქვეყნად
და ტკივილის მნახველო,
შვილთა შენთა ერთგულების,
უფლის კალთით მფარველო,
ლოცულობდი, კვლავ ილოცე –
ღმერთი და საქართველო.

2000 წ.

ერის მამაო



ჯვარცმული ქვეყნის შვილი ხარ,
ილიაჲ, ჩვენო მამაო,
ქედზე გადენა მამული,
გოლგოთას აგაქეს თანაო.

სუდარა გადაფარებულ
გერგო წილხვედრი ხანაო,
ჯვარი ატარე უბიწოდ,
მადლმაც არ დაახანაო.

აშენე ეკლესიები,
ამრავლე მწყემსთა ფარაო,
ზენამ გიკურთხოს ყოველი
და ვინც გიმღერა ნანაო.

ბევრნი ვცოდავდით შენს წინა,
ვერას ვიგებდით, არ-რაო,
შენ მოგვიტევე ყოველთა,
ღვთივ კურთხეულო, მამაო.

ბეწვის ხიდზე ღვას ის ერი,
შენ რომ მწყესე ბოლო ხანაო,
ახლა გეჭირდება ის სიბრძნე,
გულით რომ დაგაქეს თანაო.

დიდხანს სიცოცხლეს გისურვებს
ერი იბერთა მოდგმისა,
ასე მხნე, ღალი მენახეთ
უფლის მეორედ მოსვლისას.

4 იანვარი 2012 წ.

უზენაესო ზენაო

ბინდმორეულმა სოფელმა
არ დააყოვნა ხანია,
ველარ ჩამაცვა პერანგი,
ცოცხალ მიგვემა გვამია.

სპა შემიყარა ურდოთა,
დამაქცევარი ხამია,
ტანჯვის ცრემლებით ამივსო
სამადლობელი ჯამია.

გმადლობთ შენ ყველაფრისათვის,
უზენაესო ზენაო,
თხოვნა მაქვს, ერთი ათასში,
შენით ღაგძლიო წყენაო.

რომ არ იხაროს მტრის რჯულმა,
არ დამაყაროს ფსტვენაო,
ტანჯვად არ გადამიქციოს
მარადისობის ღხენაო.

2012 წ.

გაუმარჯოს ჯვარზე ნაბვემ

იბერიის შემოვევლე,
ყველა კუთხის მთას და მდელს,
გაუმარჯოს ჯვარზე ნაბვემ,
ჩემს მარგალიტ საქართველოს.

აქ დაირწა ნანას ჰანგით,
ის ჰამაკი ქუჯი ლაზის,
აქ გაისმა ფიცი ძმობის,
და ერთობის ფარნავაზის.

აქ მარჯვენას უტა ლაზის,
სალოცავი აუგია,
ვინც კი დასდო თავი მისთვის,
სამოთხის ბჭე გაუღია.

აქ ჭყონდიდელს მეფისათვის,
თავს გვირგვინი დაუდგია...
მეფეს, მტრისთვის იმ დიდგორში
მუხანათი დაუგია.

კახისათვის ასპინძის ომს,
ლეკთა ბელადს დაუვღია,
მაღაჩილას თავი იქვე
პატარა კახს წაუგდია.

სვაგ-ყორნები დასევიან,
ამ ჩემს ბაღნარ საქართველოს,
და იყოფენ ურჯულონი
წინაპართა მთას და მდელს.

ჰე, მტარვალნო! დაგელიათ!
ჩვენთან ყოფნის დრო და უამი,
მოემზადეთ გასაქცევად!
ვინც გვიმუხთლა... დაგრჩათ წამი!
2012 წ.

იმერეთი

იმერეთო, საქართველოს გულო არეო,
ფეხითა მაქვს შემოვლილი შენი მხარეო,
ქუთაისო, იმერეთის დიდო ქალაქო,
სიყვარულის, მეგობრობის წმინდა ალაგო.

თუ რიონი ამღვრეული გვერდში ჩამოგდის,
შერიგებისათვის ძმები გელათს ჩამოდის,
ქუთათურებს მიზანი აქვთ არც ისე დიდი,
რომ აშენონ სიყვარულის და ძმობის ხიდი.

ქუთაისო, ჩემო ტკბილო, კოხტა ქალაქო,
გელათის და საფინხიას წმინდა ალაგო,
იმერეთო, საქართველოს ტურფა მხარეო,
დაილოცოს შენი მზე და შენი მთვარეო.

ქუთაისო, დასავლეთის ქარის ბუდეო,
სიყვარულით ამევსება ზოგჯერ უბეო,
ღამაზ იმერს დაინახავ თეთრი მანდილით,
თარაშობა მოგინდება ვეფხის წადილით.

ედემივით დამშვენდება შენი ალაგი,
ქუთაისო, შენ გახდები ძმობის ქალაქი.
არასოდეს გელაღატოს, იყავ ჟამიერ,
საქართველოს სიყვარულში მრავალჟამიერ!

1997 წ.

სიღარიბე, სიღარიბე

აბა, კარგად დააკვირდით,
ვინ რა არის დღეს,
გლეხი მიწას უყურებს და
ბოქაული მზეს.

ზოგი ბაქლავას მიირთმევს,
ზოგი პურსა ხმელს,
ზოგსა წყალი ენატრება,
ზოგი კი სვამს რძეს.

დამიჯერე, გლეხის ბიჭო,
ნუ გაიტყვებ გულს,
ვისაც კაცი ეჯავრება
ჯოჯოხეთიც შურს...

ეგ ცხოვრება გოლგოთაა
ურმით სავალი,
ღვინით სავსე დოქში არის
მისი წამალი.

ღვინოს დაღვევ მეგობრებში,
სევდა მორჩება,
სიცოცხლე და სიყვარული
ადარ მოკვდება.

სიღარიბე, სიღარიბე,
აბა ვის არ სძულს,
ისეთ წიხლსა ჩაგაქოლებს,
ვერ მოითქვამ სულს.

ხუთი თეთრიც თუ გაკლია,
არ მოგცემენ პურს,
მოგიკლავენ პატარების
უძანკოთა გულს.

მე თუ მკითხავ, ერთსა ვიტყვი,
სხვისი არა მშურს.
ყველა კაცი! მიყვარს ქვეყნად
და არავინ მძულს.

1996 წ.

თეთრი ღამე



თეთრი ღამე

მე შენზე ფიქრით თეთრად ღამე მითენებია
და განთიადის ბურუსივით შორს გაგბნეულვარ,
ღამაზ თვალებზე წრფელ ოცნებით მიფერებია
და ამ ფიქრებში ზღაპრის გმირად გადავქცეულვარ.

შენ შემთხვევადი მაგ ღამაზი თვალების მზერით,
თანაც სიმშვიდე დამიკარგე ჩემი მორჩილი,
რაც მოხდა ჩემში ძნელი არის აღწერო ენით,
იმ ნათელ ღამეს მე ვინატრე მუდმივი ძილი.

===

მაგრამ თენდება დილა ჩემთვის ანთებულ რწმენით,
გული კარნახობს, შეგონებას ნუ ელფერდები,
რასაც ვერცერთი სულიერი ვერ აღწერს ენით,
შენთან საუბარს მე გულახდილს ღმერთს ვევედრები.

გაივლის დრო და დრო ყველაფრის თითქოს
მკურნალი
შენს ღამაზ თვალებს მომანატრებს თუგინდ წამითაც,
ნეტავ მესმოდეს მე წინასწარ ამ ნიჭის კვალი
და შენზე ფიქრში მე დავიწვევ ცეცხლის ალითაც.

რაც უნდა დრომ გაიაროს, ძილშიაც მომენატრება...
შენი ღამაზი ღიმილი საფლავის კარზე ჩამყვება,
ქუჩას მიყვები ოცნებით, აჩრდილი შენი დამყვება,
ვგ შენი გული ჩემთვისა, მიჯნურად მუდამ დარჩება.

1994 წ.

ამჯობინებდა აქ შენთან ყოფნა

დილის რიურაჟზე თვალებ ახელილს
მე შენი სახე წინ ხატად მენთო.
ვით ატმის ტოტზე ყვავილს აფეთქილს,
ველარ უმზერდე, რაც უნდა ენთო.

შენი თვალების ღამაში მზერა
გულს ისე კოდავს, ვითარცა ძერა,
სულ თუ ეგ არის, ის ბედისწერა,
დე ჩემთან დარჩეს მომავლის რწმენა.

უცვებ გაივლის ეგ დრო, მე ვიცი
და სანთელივით უცვებ დადნება,
ღმერთო, გახადე ეს გრძნობა მტკიცე,
თორემ თოვლივით გულში ჩადნება.

შენ დედოფალი ყოფილხარ თურმე,
მეთოთხმეტეჯერ ქვეყნად მოსული,
ის ყმა ვიყავი, ამქვეყნად სულ მე,
დღეს რომ მიყურებ და მიღევს სული.

და თუ ეღირსა სხვა პლანეტაზე
შენს სულთან ერთად ჩემს სულსაც ყოფნა,
ყველა სურვილს და ფიქრებს ნეტაზე
ამჯობინებდა აქ შენთან ყოფნა.

თუ კიდევ ცხრაჯერ უნდა მოვლინდე,
თან ჩემი სულიც იქ დაგვხვდა სტუმრად,
ეცადე ახლოს აღარ მოხვიდე,
თორემ მოკვდება ეს გული ჩუმად.

1994 წ.

ჩავისვამ მკერდში

და როცა ამბობ, რომ სულს აქ ტოვებ,
არ მიეკაროს ნიავი გრილი,
მე მას არასდროს არ მივატოვებ,
არ გაიტეხო ამისთვის ძილი.

ოცნების ფრთებით ვატარებ მთებში,
ზე ყველა ვარსკვლავს შემოვატარებ,
რომ დაიღლებო, ჩავისვამ მკერდში
და ჩემს ფიქრებსაც მას მივაბარებ.

1994 წ.

ჩემთან ჩემი დარღები

თვალს მოსწყურდა შენი ხილვა,
სულსაც ხომ ენატრები,
დამიჯერე გულის დარდო,
ძილშიც კი მეღანდები.

რა მშვენება შეგქმნა ღმერთმა
სულით ზე-შემკობილი,
ვერ ვიკმარო შენი სუნთქვა,
მხოლოდ შენი მორჩილი.

მუდამ ჩემთან მეგულები,
მაინც ვერ გეკარები,
შენს სიმშვიდეს ვემალები,
ჩემთან ჩემი დარღები.

1995 წ.

ასე ლამაზი არსად არ ღაღის

მივდივარ თითქოს შორეულიდან
და იალქნები იმოკლებს მანძილს,
დღენი გასული იმ წარსულიდან
ხშირად მაგონებს შენს ლამაზ მანდილს.

თითქოს გემბანზე ვდგევარ და ჩემთვის...
ვერ ვავექეცი იმ ფიქრის ნაწილს,
თუ მივიწყება ჰქვია მას შენთვის,
ამოდ ვუმზერ მე სულის ნაპირს.

და რომ მჯეროდეს სხვისი ხარ, სხვისი,
უცებ შევხსნიდი იალქნებს აფრებს
და ამოუხსნელ მიმართულებით
გემს გავატანდი უნდობელ ტალღებს.

წყვიდიადის სენი მე თუ მაწვალებს,
დრომ უნდობარმა დაბადა ჩემში,
რა დამავიწყებს შენს ლამაზ თვალებს,
გრძნობის გამცემი რომ არის შენში.

ჩემი გული კი გრძნობას კარნახობს,
რომ ჰპოვა იგი აწ და მარადის,
ჩვენს პლანეტაზე სხვა სული მისთვის
ასე ლამაზი არსად არ ღაღის.

1995 წ.

* * *

რად ეძებენ ეგ თვალები ერთმანეთს,
მითხარ, ქალო, თორემ გული თან გასკდეს,
ეგ ცხოვრება ხომ არა ჰგავს ერთ მანეთს,
დახიო და შენი დარდიც თან გაჰყვეს.

1995 წ.

ვერ მანუგეშებს მე შენი მზერა

ოცნებით მოვრალი ვიდექ სარკმელთან,
შენი აჩრდილი გვერდს მედგა ჩემთან,
ჩვენ ჯვარს ვიწერდით წმინდა სანთლებთან,
მჯდარი პირისპირ განგება ღმერთთან.

ჩემი ოცნების და ნეტას წყარო
ვრცელ ოკეანედ გადამქცევია,
მოსვალ და მეტყვი, შენ გიჟი ხარო,
აბა მეტი მე რა დამრჩენია.

ვერ მანუგეშებს მე შენი მზერა,
ეგ მხოლოდ გუშინ იყო საამო,
ღმერთმა არა ქმნას შენს გულში წყენა,
ფიფქივით დავდნე, ესეც გაამო...

ვერ მანუგეშებს მე შენი მზერა,
მინდა რომ ვიყო შენს გულში მუდამ,
ღმერთმა არა ქმნას შენს გულში წყენა,
თორემ წყალივით გავქრები რუდან.

ვერ მანუგეშებს მე შენი მზერა,
ეგ ცხრაჯერ მოსვლის მხოლოდ შენ გჯერა,
ღმერთმა არა ქმნას შენს გულში წყენა,
მე შენი ხილვის სხვა დროს არ მჯერა.

თუ მანუგეშებს, მე მანუგეშებს,
შენ რომ არსებობ ქვეყნად ნუგეში
და რომ მოგიტან აფეთქილ ფიქრებს,
მჯერა ჩაიკრავ თბილად უბეში.

1999 წ.

მე ჩემს განწყობას ლექსებში ვრიითმავ

მე ჩემს განწყობას ლექსებში ვრიითმავ
და რასაც ვამბობ, გულით მჩვევია,
შენ რა გინდ ცუდად გამიგო, კარგო,
მე სხვა გზა შენსკენ არ დამრჩენია.

ზოგჯერ ზვარაკად გაგწირავს ფიქრიც,
წყვილიაღმა შთანთქოს ნავსაყუდელი,
მეტეორივით უმიზნოდ მიჰქრი,
იწვი სანთლად და თავს ვერ უშველი.

და ამ ოცნებით, გრძნობით ანთებულს,
გსურს რომ იპოვნო ბურუსში სხივი,
მაგრამ ამაოდ დაშვრები მზერით.
თუკი ღრუბელმა დაფარა იგი.

1995 წ.



დაიმახსოვრე ძვირფასო

თვალს მოადგება ცრემლები,
როცა შენ გული გეწვის.
თუკი სიყვარულს იწამებ,
ხიდზე გადიხარ ბეწვის.

თავბრუ დაგესხმის გასული...
წყაროსთან მიხვალ იქვე
და თუ როდესმე მიწამებ,
მე შენთან უცებ მიხმე.

იტირებ, ბევრსაც იტირებ,
თვალებიც აგიწითლდება,
დაიმახსოვრე ძვირფასო,
სიყვარულს მოვლა სჭირდება.

შენი ცრემლების ჭირიმე,
მინდა მე იგი ვიწამო,
თუკი ოდესმე შევეცდები,
ლეშად მიმიღოს მიწამო.

მე შენი სუნთქვის გარეშე
მაინც არ მინდა სიცოცხლე,
ისიც მეტია ამქვეყნად,
რაც შენს გარეშე ვიცოცხლე.

1996 წ.

დავიარები სალოცავს

ეკესიაში მიმავალს
ცრემლით მევსება თვალები,
უბეში მიდევს სიწმინდის
გამომხატველი სანთლები...

და როცა მივალ იმ საყდარს,
იმ წინაპრების სალოცავს,
მუხლმოდრეკილი ხატის წინ
ანგელოზები დამლოცავს.

მერე სანთლებით თან ხელში
დავიარები სალოცავს,
ღმერთი ამისთვის კი არა,
წმინდა გრძნობისთვის დამლოცავს.

წმინდა სანთლები იწვის,
იწვის ჩუმად და ნელა,
შენ რომ არა ხარ ჩემთან,
მე მაინც არა მჯერა.

სანთლებს ავანთებ ხატის წინ,
ჩემი ოცნებაც ენთება,
შენგან ნატკენი ეს გული
არასდროს არ გამრთელდება.



1996 წ.

მაგრამ იღბა შავთვალეა სხვისკენ

შემოდგომის ყვითელ ფოთოლს ჰგავდა,
დასერილი სიჭაბუკის გული,
თითქოს იგი ზამთარს ტყვედ მიჰყავდა,
ვით მორიგი პატიმარი სული.

სული ჩუმად მიჰყვებოდა ზამთარს,
და უგულოდ სადღაც ჟინს იკლავდა,
ჩამოჰგავდა უნაყოფო თავთავს,
თან აჩრდილით ძეხორციელს ჰგავდა.

წამლად, წამლად სიყვარული სურდა,
მას მკურნალი წყლულიანი წლების,
არ უნდოდა ზამთრის თეთრი გუნდა
სუსხიანი ჯოჯოხეთურ გრძნების.

კართან მისულს ჯოჯოხეთის გზაზე,
კიდევ ერთხელ შეებრძოლა სული,
და შემოსვა სიყმაწვილის რაშზე,
მოქანცული და ფერმკრთალი გული.

გულმაც იგრძნო მობრუნება მზისკენ,
თითქოს მართლაც ვიღაც იმზერს მისკენ,
და ეს რაშიც გაუყენა გზისკენ,
მაგრამ იღბა შავთვალეა სხვისკენ.

1995 წ.

იქნება შენაც მართალი იყავ

იქნებ ჰგონია მე ქალს ვეძებდი,
ან მასზე ხვევნა მენატრებოდა,
ჩემი სიცოცხლე სანთლით გეძებდი,
თორემ სხვა ქალი მეყვარებოდა.

შენით ვაშენე ჩემი სამოთხე,
შენ ერთი მოსმით ის დამინგრიე,
მე შენს ნაკვალევს როცა ვიხსენებ,
თვალზე მადგება კურცხალი მღვრიე.

იქნება შენაც მართალი იყავ,
მოფერება და აღერსი გეკლო
და უცებ ერთ დღეს სხვა აირჩიე,
სულ დაგავიწყდა გვერდში რომ გეხლო.

ვერ ავიტანე, ვერ გავეუძელი,
ვერ გავეუძელი მე ამ ცდუნებას,
გული დამეწვა აკვნის ბავშვივით,
რომ მე მივენდე შენსა ბუნებას.

მე სიყვარულის მონა ვიყავი,
შენ შემაყვარე იგი სიცოცხლე,
მე თუ მომკალი, შენ ხომ იქნები,
შენ ხომ დარჩები, ჩემო სიცოცხლე.

მე ქანდაკებად გადავიქეცი,
სახეზე სისხლის ფერი დამედო,
ღმერთმა არ მომცა მე იმის ნიჭი,
რომ იგი გრძნობა აღრე გამეგლო.

არცერთი წუთი არ მიცოცხლია,
რაც გაგიცანი, მე შენს გარეშე,
ეხლა კი დროა იმ მწვერვალთან
ჩოქვით ასულმა ფრენით დავეშვე.

1995 წ.



მოველი და ველარ ბნახე

გეძებე და ველარ გპოვე, გული ისე მომიკვდა,
წყაროს წყალთან რომ მისულხარ, წყაროსავით
მომინდა.

სახლში წაველ, შენზე ფიქრში გული ნამით მომიღბა,
იმ ოცნების ტოტზე ვიჯექ, სანამ ქარი მოვიდა.

მოვიდა და შეარხია ეგ ლამაზი ტოტები,
ყველა ისე ირხეოდა, თითქოს იყვნენ ტოლები.
ქარი ისე გაძლიერდა, გააცალა ფოთლები,
ის ლამაზი და ოცნების გულის დანატოლები.

სიცოცხლის გზა ვიწრო არის ეკლიანი ბარდებით,
არ ეგონოს ვინმეს ეს გზა მოფენილი ვარდებით,
ლამაზ-ლამაზ ხალიჩებით ან მოხატულ ფარდებით,
ეს გზა მთას ჰგავს დაგრეხილი და გაშლილი
კალთებით.

ვინც ამ გზაზე სიარული თავიდანვე ირჩია,
თვით აღუდგა ბოროტებას და თან მოსპო ის ჭია,
დაფიქრდები, გაოცდები, შენ ვინ რაღა გირჩია,
რაც კი მოდის ეგ სიკეთე, სიყვარულის ნიჭია.

„არანლუგმა“ თუ ლექსების წერა დამაწყებინა,
რომ გაივლის საოცნებო ეგ ლამაზი წლებია,
რომ გახდება „არანლუგიც“ საყვარელი ბებია,
რომ არა სთქვას, ეგ წარსული როგორ დამივიწყებია.

მიტომ დავწერ მე ამ სტროფებს, გაახსენდეს წარსული,
სხვა რა იყო, რით სუნთქავდა, თვით რა იყო ასული.
მისი გული ისე სუნთქავს, როგორც მთვარე ჩასული,
მიტომა აქვს ამ ცხოვრებას ეგ წერტილი დასმული.

შენ იარე იმ გედივით... მას რომ უყვარს სიცოცხლე,
მე თუ ვეღარ მოვესწარი, შენ კი დიდხანს იცოცხლე.
და თუ ვინმემ ჩაგიშხამა ეგ ღამაში სიცოცხლე,
გულს ნუ იტკენ, გენაცვალე, იცოცხლე და იცოცხლე...

1995 წ.

* * *

ვაგლას ჭირს ვერ მოერიო,
გულში გაჩნდეს სევდით წყლული,
მაშინ კარგად მოიგონე
გზები შენი და წარსული.

1995 წ.

წახეღ ღამით

წახეღ ღამით დაგინახე სიზმარში,
შენი ცრემლი ოკეანეს ერთვოდა,
გამეღვიბა, შენ ჩემს გვერდით გიგულე,
გიგულე და შენი სუნთქვაც მესმოდა.

რად გაწირე ეგ ღამაზი გრძნობა შენ,
ვინ დაწამა ცოდო-მადლი, რაში,
შენ თუ აწი ჩემად ვეღარ გიგულე,
ჩემი სული გაფრინდება ცაში.

გაფრინდება, გაფრინდება ჯოჯოხეთს,
მას სხვა კარი არსადა აქვს ცაში.
დაისჯება ყველა გულით მიჯნური,
ვისაც გონი ეკარგება თავში.

მაგრამ გამცემ იქნებ თვალებს დასწამო,
რაც რომ მოხდა, შენაც იყო ბრალში,
მე ხომ შენი სიყვარულის მჯეროდა,
რად ჩამაგდე აღელვებულ ზღვაში.

მე ხომ მაინც ჩემი შხამი მწამლავდა,
ემშაკმა რომ მათქმევინა მაშინ,
მაპატიებ, ღმერთი არ მაპატიებს,
თუ ცოდვილი მხოლოდ მე ვარ მაშინ.

მაშინ ახლოს, ახლოს არ გამიკარო,
ნურც ცრემლები მოგადგება თვალში,
იგი ცრემლი მწარე არის ჩემთვისაც,
მირჩევნია ერთი ვიყო ბრალში.

1996 წ.

წმინდა სანთლები იწვის

რისი ვიწამო ქვეყნად
ხატის წინ ჩოქვით მდგარმა,
სანთლებს ვანთებ და ღმსერთს ვთხოვ,
რომ არ ჩამიქროს ქარმა.

როგორ მჯეროდა შენი,
თავსაც დავდევედი ფიცით,
დღეს რომ შორიდან გიმზერ,
თვალი მევსება ნისლით.

წმინდა სანთლები იწვის,
მათი ცრემლების მჯერა,
შენ რომ ცრემლებად იქცე,
ვერ დამაჯერებ, ვერა.

სნეულებათა მკურნალს
ამქვეყნად დრონი ჰქვია,
ყურში ჩამესმის ეხლაც,
რაც შენ სახელი გქვია.

წადი, შორს წადი, კარგო,
შენს ნაიარევს ვირჩენ,
შენთან რომ ვიყო ახლოს,
ვერასდროს ვერ მოვირჩენ.

წმინდა სანთლები იწვის,
მათი ცრემლების მჯერა,
შენ რომ ცრემლებად იქცე,
ვერ დამაჯერებ, ვერა.

ნოსტალგია

იქნებ ერთხელ კვლავ იხილო ის სიზმარი,
შენ რომ ჩუმად მომიყევი გაზაფხულზე,
თოვლის ფიფქი მოსულიყო იმ დღეს თურმე,
და ის ფიფქი დამცვენოდა თეთრად გულზე.

სალოცავად მიაშურე ეკლესიას,
შენ ხომ ასე მომიყევი ეგ სიზმარი,
და სანთლები რომ ამინთე, მაშინ ვიგრძენ,
რომ შენს გულში რაღაც გაჩნდა ბობოქარი.

გაიხსენე, მხოლოდ ერთხელ გაიხსენე,
აცრემლებულ თვალებით რომ დამიხატე,
მე კი დღესაც ისე მიყვარს შენი თავი,
პირველ დღეს რომ გულში მარად ჩავიხატე.

იმ ხილვაში აბა კარგად გაიხსენე,
როგორ თბილად მომეხევი, მომეფერე,
ჩემო კარგო, ეგ სიზმარი გამიმრთელე,
მხოლოდ ცხადში, მხოლოდ ცხადში დამაჯერე.

შენზე ფიქრი არ მასვენებს ანთებული,
და ამ ფიქრში იცრემლება იგი გული,
შენ კი ალბათ მოიგლოვე ჩემი სული
და მოჰკალი ის პირველი გაზაფხული.

1996 წ.

სანთლები ამინთეთ

გაივლის ეს წლები, თოვლივით დადნება,
თვალეზზე ცრემლები ფიფქივით ადნება,
არჩამქრალ სიყვარულს იმედით ვატარებ,
შენს სახეს, შენს თვალებს ვარსკვლავებს
ვადარებ.

ბავშვივით ღიმილი უხდება შენს სახეს,
შენ ისე გამწირე, ვერ ვამბობ შენს სახელს,
მჯერა რომ იარას მოარჩენს, დრო რომ ქრის,
კვლავ დადგეს დარები სითბოს და ნიაქქრის.

ჯოჯოხეთს მაგონებს უშენოდ სიცოცხლე,
მიწამე, კვლავ მოვალ მე შენთან, იცოდე,
მე შენი სითბო და ალერსი მატარებს,
უძილო ღამეებს რა დაღევს, რა დაღევს...

მე ჩემს გულს ვენდობი, იქნებაც მატყუებს,
სანთლები ამინთეთ, ჩამქრალი სანთლები,
საყდარში ხატის წინ დახოქილს გიწამებ,
ოღონდ შენ დაბრუნდი, დაბრუნდი, მიწამე.

1996 წ.



მაინც მოვალ ბიპოზნი

წლების უკან ჩამქრალ გრძნობას
შენ აუნთე ალები
და იმ წლებმა თუ გამწირა,
არც მას არ ვემალები.

ნეტავ შენთან ვყოფილიყავ,
შენს თვალებზე მემზერა
და ლექსები დიდი გრძნობით
მხოლოდ შენზე მეწერა.

მე ამ გრძნობის ამოცნობა
ვერ შევძელი ადრიან,
ჩაფიქრდები, მომიტყევებ,
თან თუ მიწყენ ძალიან.

ახლა მინდა მოგეფერო,
მაგრამ გზები გვეყრება,
წარსულ დღეთა მოგონებით
გული სევდით მევსება.

ოკეანე გადალახო,
მაინც მოვალ, გიპოვნი,
რადგან გრძნობას, ასე მზიანს
სხვაგან ვერსად ვიპოვნი.

დავიღალე ქარბუქივით
ოცნებათა ზვირთებში,
ღმერთს ამას ვთხოვ, თუ მაცოცხლებს
მხოლოდ შენზე ფიქრებში.

1996 წ.

იქნებ სულ არ დამენახე

იქნებ სულ არ დამენახე,
დროსაც ისე გაეველო,
შენზე ფიქრი, ჩემო კარგო,
გულშიც აღარ გამეველო.

იქნებ გესმის ჩემი სუნთქვა,
შენი ხილვის სადარი,
ღმერთმა ნუ ქნას ვინმეს ვკითხო,
ჩემი სული სად არი.

შენ კი, კარგო, გამიხსენი
ძველი ნაიარევი,
წუხეღ დამით დამესიზმრა
წაბლისფერი თვალები.

ასე ჩუმად გაიპარა
ის ღამაში წლები,
ნუთუ ისევ დამიმონებს
დარჩენილი დღეები.

შენი ფიქრი იქნებ დაჰქრის
იმ აზიის ტრამალებს
და ვერა გრძნობ აქ თუ ვინმეს
შენზე ფიქრი აწვალებს.

1996 წ.

მე ვერ ბავაძლავ უშენოდ

კოცნა გთხოვე ღვინით მოვრალმა,
ველარ შემომიბედე,
მერე თმები შეგისწორე,
გრძნობით შემოგიბედე.

დავიღალე შენზე ფიქრში,
უშენობა ძნელია,
სიყვარულის გრძნობას თურმე
ასეთი რამ სწევია.

ახალი წლის დღესასწაულს
ხე ამშვენებს ნაძვია,
ჩვენს სიცოცხლეს ამა ქვეყნად
სიყვარულის განძია.

იქნებ ერთად მოვიართო
გელათი და მთაწმინდა,
მე უშენოდ ეგ სიცოცხლე
ერთი წუთით არ მინდა.

მინდა ერთი მოგეფერო,
ზეცა შემოგატარო,
შენი სიტბო და აღერსი
წმინდა გულით გატარო.

იქნებ ერთხელ მაკოცნინო,
რომ ამინთო ალგები,
მე ხომ მუდამ მენატრება
შენი შავი თვალები.

სიყვარული მომაშველო
გადავარდნის ნავიდან,
თორემ წლები სიჭაბუკის
გაფრინდა და წავიდა.

ეგ ცხოვრება მაინც მიდის,
მაინც მიქრის უჩენოდ,
შენ ხომ იცი, მე ვერ გავძლებ,
მე ვერ გავძლებ უშენოდ.

1996 წ.

მის სჭირდება პირამიდა აბეჭული

სიჭაბუკე გავიდა და სიზმრად ქრება,
თანაც გული ძველებურად აღარ თვრება,
ფიროსმანის სევდა თვალწინ დამიდგება,
გული ჩუმად აენთება, ატირდება.

იმ სიყვარულს მე არ ვეძებ არასოდეს,
იმ წარსულის ტკივილიც კი მავიწყდება,
იქნებ სუნთქვა კვლავ შევიგრძნო გაზაფხულის
და ზამთარი კვლავ მიეცეს დავიწყებას.

თორემ დრონი ქარიშხალზე ძლიერ ქრიან,
ვარსკვლავები მეტეორად იბნევიან,
იქნებ ღმერთო შენ ამისხსნა ანთებულნი
რატომ ასე დაუნდობლად იწევიან.

ცას ავხედავ, ოაზისებს დაფუჩოქებ,
უდაბნოში მარტონიც რომ არ ქრებიან
და იმ ევას და იმ ადამს ვადღეგრძელებ,
ერთმანეთის გარეშეც რომ არ კვებიან.

შენ სიცოცხლეც, ჩვენთან რად ხარ წამებული,
ეკლიანი გზები რად გაქვს დაგებული,
ვის სჭირდება პირამიდა აგებული,
მისი ხილვით თუ არ დატკბა ჩემი სული.

თუ ოცნებამ ფრთები მისი არ გაშალა,
ლაჟვარდ ცაზე და გედვიით არ იმღერა
და თუ გულმა სიცოცხლეში ერთხელ მაინც
წმინდა გრძნობით არ ილხინა, არ იძგერა.

ჩაუკეცეთ ყველამ სევდას გულის კარი,
რომ სიკეთე იყოს ჩვენი გრძნობის ფარი
და სიცოცხლე ჩქეფდეს როგორც წყაროს წყალი,
ამა ქვეყნად ნუ დაგვრჩება მისი ვალი.

1996 წ.

ჩემი ხატია

სევდიან თვალებს რად შემომაცქერ,
ეგ ჩემი გული ისეც მთვრალია,
არ დაიჯერო, ჩემო ძვირფასო,
რომ ყველაფერი ჩემი ბრალია.

ყოველი წამი შენგან მაშორებს,
წლები გადიან, წლები გადიან
და ანთებული კელაპტარივით
ის სიყვარული მაინც ანთია.

ღვინოს დავლევ და მოგეფერები,
შენი თვალები ჩემი ხატია,
თვალებს დავხუჭავ, გულში ჩაგიკრავ
და ეს სიზმარიც ჩემი ხატია.

მე ფიროსმანის სევდამ შემიპყრო,
დღეს ჩავიხედე მის უკვდავ სულში,
სიყვარულისთვის დაბადებულმა
არ გაიკარა სხვა გრძნობა გულში.

მფარველ ანგელოზს შემოვავედრებ,
წმინდა სიყვარულს ამ ქვეყანაზე,
რომ სიყვარული დედამიწაზე
ვარსკლავებს ჰგავდეს ანთებულ ცაზე.

1996 წ.

როცა მოვრალი ვარ

როცა მოვრალი ვარ, კარგო,
რატომ დაგეძებ, იცი?
შენზე ფიქრები მათბობს,
შენს სიყვარულში ვიწვი...

რატომ დამკარგე, კარგო,
მე სად გიპოვნო აწი,
გუშინ შენს გვერდით ვიყავ
ის ბედნიერი კაცი.

თასებს შევავსებ ღვინით,
შენს სადღეგრძელოს დავღევე
და ჩემს სიცოცხლეს, კარგო,
შენზე ფიქრებში გავღევე.

როცა ვიხსენებ წარსულს,
ტიალი წლები მიდის,
შენ ისევ სულში ზიხარ
და გული მაინც მიმდის.

რატომ დამკარგე, კარგო,
მე სად გიპოვნო აწი,
ან რად დაგეძებ ნეტავ,
ეს განწირული კაცი...

1996 წ.

სიყვარულის დღე

სიყვარულის დღე წელიწადში ერთხელ ვინა სთქვა,
სიყვარულისთვის წელიწადში ყველა დღე არი,
სიყვარულისთვის არ არსებობს, არც დრო არც ხანი,
გული გახსენით და სიყვარულს გაუღეთ კარი.

მე ია მიყვარს, ზოგს ენძელა, ზოგსაც შროშანი,
სიყვარულისგან სიძულვილი მართლაც შორს არის,
ილოცეთ მუდამ სიყვარულის წმინდა გრძნობაზე,
რომ ჩვენ გვღაგავდეს, სიყვარულის ცისფერი ალი.

პირველ სიყვარულს სიყმაწვილის შფოთიან წლებს,
რა დაგვავიწყებს თეთრ ღამეებს უძილო სიტყვის,
ერთი რამ მჯერა, უნაზესი იმ ღმერთის ნიჭის,
მართალ სიყვარულს არ სჭირდება მტკიცება ფიცის.

უსიყვარულო არ არსებობს არც ერთი ლექსი,
უსიყვარულოდ ვინ ააგო იგი ტაძარი,
ვეფხისტყაოსანს ვინ შექმნიდა უსიყვარულოდ,
შოთას და ვაჟას მუზის ქნარი აბა სად არი.

ყველას გისურვებთ ერთგულებას უფლისა ღვთისა
წმინდათა-წმიდა რომ გფარავდეთ ჭირში და ღხინში,
ისე გაგველოთ ამ ცხოვრების გოლგოთას გზები,
რომ სიყვარული გაგყოლოდეთ სამოთხე ტკბილში.

1998 წ.

ცისფერთვალება ქალო

ცისფერთვალება ქალო,
რად შემაყვარე თავი,
მე შენი ხილვის შემდეგ
ვერ გავახილე თვალი.

ასე მგონია ქვეყნად
ერთი ხარ, ერთად-ერთი,
თუ რატომ შემიყვარდი,
ამას გამიგებს ღმერთი.

მთვრალი ვარ, მთვრალი-მთვრალი,
დავიარები მთვრალი,
რადგან სულ თვალწინ მიდგას
ცისფერთვალება ქალი.

რატომ ხარ ასე ჩუმი,
ხომ არ გატკინე გული,
იქნებ შენ სულ სხვა გიყვარს
და მიტომ გეწვის სული.

როცა სევდიანს გხედავ,
ახლოს არ გეკარები,
მაგრამ იცოდე კარგო
მე სულ შენ მენატრები.

მთვრალი ვარ, მთვრალი-მთვრალი,
დავიარები მთვრალი,
ნეტავ სად არის ეხლა
ჩემი ოცნების ქალი.

1998 წ.

ჩემო ციციანთელავ

ანთებული კოცონი ხარ
და არასდროს არ ქრები,
უშენობას ვერ ავიტან,
სიზმარივით გავქრები.

იქნებ ფიქრობ დამეკარგო,
მე მაინც იქ გავჩნდები,
ჯოჯოხეთშიც რომ წახვიდე,
სანთლად გვერდში დავდგები.

ეგ რა სითბო და აღერსი
ფანტელივით გადმოგდის,
მაინც მწყურვალს ვემსგავსები,
მეც არ ვიცი რა მომდის.

და რომ გხედავ აფეთქებულს,
როგორც ყვავილს ატმისას,
ამას ვნატრობ თეთრ დამეშიც
შენთან ყოფნა მაღირსა.

ანთებული კოცონი ხარ,
ბნელი ღამის ნათება,
ცისკრის ვარსკვლავს ემსგავსები,
ჩემო ციციანთელავ.

იაღბუზზეც რომ ავიდე,
შენი სითბო გამათბობს,
წყალი მასვა, წყაროს წყალი,
ღვინოსავით დამათრობს.

2001 წ.

არ ვიტყვინოთ გულია

ვინც მიყვარდა ამა ქვეყნად,
ყველამ გული მატკინა,
ვინც მეგობრად დავიგუდე,
ცრემლი ღვარად მაღინა.

შენ რად ჯავრობ, ჩემო კარგო,
ღმერთს ამ ქვეყნად არ ვიცი,
მეც შენსავით იმ კოცონში
სანთელივით დავიწვი.

ეგ ცხოვრება მე მაგონებს დარიშხანს,
წუთისოფელ გამცილებელ ქარიშხალს
და ცხოვრება გაბრიელას ბაღიდან,
ვხედავ დარჩა ასაწყობი თავიდან.

თუ სიკეთეს თესავ, ისიც იცოდე,
და ნუ ყვედრობ, ცეცხლის აღშიც იწვოდე,
უკვდავება მთაწმინდაზე არ არის,
უკვდავება ზეცაშია, იცოდე.

თუკი ღმერთმა არ გაწირა,
მოაბრუნა სნეული,
მოვა, მოვა, ჩაგეკრება
შენი გადარეული.

ეგ ცხოვრება ნაადრევად
არ ვიტყვინოთ გულია,
შემოდგომა და ზამთარი
უფრო საამურია.

2001 წ.

ანთებული სანთლები

ეკლესიის გუმბათებზე
ჯვარი ნათობს ნათება,
ნეტავ, ქალო, რად მიჩრდილავს,
ყველგან შენი ხატება.

ღვინო მასვით მათრობელა,
რომ გამიქრეს დარდები,
თორემ დამწვავს მე უცეცხლოდ,
ქალოვ, შენი თვალები.

ეკლესიის გუმბათები,
ანთებული სანთლები,
ეკლიან გზებს გვიკაფავენ,
სვეტიცხოვლის საძვლები.



მაშ, დავლით სადღეგრძელო,
წმინდა სიყვარულისა,
ადამის და ევას მოდგმის,
წამებული სულისა.

ანგელოზად მოვლენილხარ,
სიოსავით ნარნარი,
იქნებ მითხრა, შენი გული,
ვისთან არის, სად არი.

დავანგრიო იმ ქაჯეთის
ციხე კოშკის სანგარი,
ჩაუმქრალი გამოვსტაცო,
ჩემი გულის ბაღნარი.

2001 წ.

უფლის რწმენით დავინამო

თიბათვის თვეს მოეკლინა,
ვისთვის ქეთი, ვისთვის მანო,
მკათათვეს რომ მოეკლინა,
მისთვის ცრემლად დავინამო.

მარიამობის თვეს გაჩნდა,
ჩემთა შვილთა დედა ამო,
ყველამ ისე ჩაიქროლა,
მეტეორის ქროლვის წამო.

ღმერთმა ნეტავ რად მარგუნა
ეგ წყალობა, ან რის გამო,
იქნებ სულის განსაწმენდად
უფლის რწმენით დავინამო.

იქნებ ბირთვად მომივლინა,
ევას რჯული წამი-წამო,
არ დავეცე ლეშისათვის,
მათი სულით არ ვიამო.

სხვა სალოცავს მივაშურო,
მიწიერი სხვა ვიწამო,
სანამ დროა გამოვფხიზლდე,
სიკვდილის უამს არ ვინანო.

მუხლმოყრილი სალოცავეებს,
მივაშურო სულის გამო,
ამქვეყნიურ სიამისთვის,
ცრემლად აღარ დავიდვარო.

რომ უდაბნოს მშიერ-მწყურვალს,
მხოლოდ სულმა გამიტანოს,
უამის მოსვლის გარდასახვის,
მალლა ღმერთმა ამიყვანოს.

ეკლიანი გზები დღესაც
წუხილ დამრჩა ამის გამო,
და ის ღმერთი შთაგვაგონებს,
სალოცავი რა ვიწამო.

რომ გოლგოთა გასავლელი
თავაწევით გაიარო,
ოფლი სისხლად მოგდიოდეს,
მაგრამ სხვა გზით არ იარო.

27 ივლისი 2001 წ.

პირველ გაზაფხულს



საუკუნის და ათასწლეულის
პირველ გაზაფხულს მოვეფერები,
იქნებ სულ სხვა რიგ იქმნას ყოველი,
სხვა რიგ აყვავდეს მთა და ველები.

იქნებ გამოჩნდეს ვეფხისტყაოსნის
მეგობრობის და გრძნობის გმირები,
ადამის მოდგმამ იგრძნოს ყოველი,
როგორ ფეთქდება ხეთა კვირტები.


გაზაფხულია ირგვლივ ყვავილთა
და ნეტარების გვათრობს სურნელი,
ვინ არის ქვეყნად უარყოს იგი
და რომ არ იყოს მისი მსურველი.

პირველ გაზაფხულს მე ქართველ დედას
და ქართველ ქალებს მიუწლოცავდი,
წრფელად ეტაროთ ქალის მანდილი,
ერის სახელით მათ დავლოცავდი.

და მერე ყველა პლანეტის ქალებს
მე ვუსურვებდი განთიადს მზიანს,
ულევ სიხარულს კეთილ გრძნობების
ბაღში დაკრეფილ ყვავილებს ცვრიანს.

3 მარტია, გილოცავთ ყველას
ათასწლეულის პირველ გაზაფხულს,
სულის სიმშვიდე გქონოდეთ ბურჯად
და სიხარული მარადუამს თქვენს გულს.

2001 წ.



მხოლოდ

ღმერთი უშიშვარე

სიყვარულით მხოლოდ ღმერთი შეიყვარე,
სიძულვილი არავისი გქონდეს გულში,
თორემ ისე გაატარებ წუთისოფელს,
სევდა აღარ მოგშორდება ღვთის წილ სულში.

დავრდომილი თუ შემოგხვდა შარა-გზაზე,
მისი წყლული გულთან უნდა მიიტანო,
და თუ შესძლებ თანაგრძნობით მხარი მისცე,
ეცადე, რომ ტაძრის გზასთან მიიყვანო.

ყოველ ტკივილს ღვთის განგებას მივაწერდეთ,
გვიხაროდეს, ისე, როგორც არასოდეს,
მორჩილ ვიყვნეთ და ვემაღლობდეთ ამისათვის,
რადგან ცოდვის განსაწმენდად გვკარნახობდეს.

რომ მუდამუამს ვიმეოროთ ჩუმად გულში,
ყველა მიყვარს, არავისი არ მწყენია,
წყლულებსა და იმ იარებს მოგიშუშებს,
სინანულის ცრემლი თუკი დაგდენია.

მაშინ ძეს და დედა ღვთისას დავუჩოქოთ,
რომ კურთხევა მოგცეს, ტანჯვა სიხარულში,
და მიწიერ სიცოცხლეში მათგან მაღლი,
გვეცვრებოდეს და გვფარავდეს სიყვარულში.

2001 წ.

შემოდგომის ქარი

შემოდგომის ქარი ისევ ზუზუნებს,
ყვითელ ფოთლებს გულში იკრავს მთა-ბარი,
სიჭაბუკე ისე უცებ გაფრინდა,
ვერ ვიპოვე ჩემი გულის საყდარი.

იქნებ სადღაც შორიახლო შრიალებს,
იმ ქარივით გვერდს მივლის და დადის,
შემავედრე უფაღს დედა მარიამ,
თორემ დრონი დაუნდობლად გადის.

ფანტელივით ცვივა ხეებს ფოთლები,
ყვითელ ფოთლებს აფრიალებს ქარი,
სად ვეძებო, ან სად ვპოვო ნეტავი,
ან არადა, ვის გაგულო კარი.

შემოდგომის ქარი სადღაც ზუზუნებს,
ზამთრის შიში ალბათ მასაც დასდევს,
მეც არ ვიცი რა მაშინებს ამქვეყნად,
მაგრამ ფიქრი აჩრდილივით დამდევს.

ფანტელივით ცვივა ხეებს ფოთლები,
ყვითელ ფოთლებს აფრიალებს ქარი,
იქნებ, ღმერთო, შემახვედრო ოდესმე,
და გამიღო წრფელი გრძნობის კარი.



2001 წ.

თეთრი რაშით მოჰყავდა

ღამე ისე გადავიდა, ცისკარს უფრო მოჰყავდა,
შენი სახე მუზას ლექსში თეთრი რაშით მოჰყავდა,
ისე სწრაფად მოფრინავდა, ისე ძლიერ ბორბავდა,
აღბათ იყო დედოფალი, საქართველოს რომ ჰყავდა.

თიბათვისთვის მცხუნვარება გალაკტიონს ათრობდა,
შენი კდემამოსილება ცისარტყელას აკრთობდა,
მუზა იმდენს მკარნახობდა, მუზა იმდენს მართობდა,
თითქოს ვსვამდი ვაზის ნაჟურს, თანაც ძლიერ მათრობდა.

ვაზის ღერწამს დაგამსგავსა ღვთივ ბუნების კანონმა,
მაგ შენს გვერდით ზღაპარია, ყველა პრიმა მადონა,
მუზამ გულში გაიარა და ვარდისფერ გაჟონა,
დაილოცოს შენმა ტკბილმა და მშობელმა პატრონმა.

ნიჭიც უხვად მოგაფინა სულიწმიდის მადლითა,
თუმც ეკლიან გვირგვინს მოჰყავს რაც რომ განვლუე წამითა,
ნეტავ მერგოს ეგ სასმისი წუთისოფლის ჯამითა,
დავლიო და აყყვე შარას ზეციური მამისა.

ღამე ისე გადავიდა, აჩრდილ თვალწინ მედექი,
ესლა მივხვდი წარსულ წლების თუ რა იყო შედეგი,
იმ სიონთან დავუწოქე წამებულ ხიდს მეტეხის
და იმ ტაძარს დავსტრიალებ, როგორც მელქისედეკი.



2003 წ.



სიცოცხლის

წყაროვ

შენ ისე ჰშვენი ია სიცოცხლეს,
როგორც გაზაფხულს ღერწმების ფეთქვა,
როგორც ტრამალებს ჟუჟუნა წვიმა
და როგორც ქალწულს ვნების დროს კვნესა.

დავრდომილს სევდით, მომაკვდავს სენით
ჯოჯოხეთიდან მოაბრუნებდი
და მხოლოდ ერთი ღიმილი შენით
თვით მეფისტოლეს შეაცბუნებდი.

შენ ისე ჰშვენი ია სიცოცხლეს,
უშენოდ იგი ცრუ ლამპარია,
ხეთა შრიალი ღამის წყვილიაღში,
შენი ხილვისგან გრძნობით მთვრალია.

ჯვართ-ამაღნებას მოვლენილს, კარგო,
გფარავდეს მისი მადლი და ზენა,
ღამაზო ქალო, მშვენიერებავ,
მუზა ხარ ლექსის და მისი ენა.

ოცნების წყაროვ, გამიღე კარი,
არ ავლკვეცილვარ სანამღე ბერად,
თორემ მომვარდეს უდაბნოს ქარი
და ჩემს ოცნებებს გაჰფანტავს ველად.

2008 წ.

ვაგონი ქროდა

ვაგონი ქროდა,
შენი თვალების სილამაზე
ჩემს სულში
ახალ სიცოცხლეს შობდა.

ვაგონი ქროდა და ქარიც ქროდა,
გიორგობისთვე რისხვას ღამობდა,
მზე ცის მორბენალ ღრუბლებში კრთოდა
და ჩემი გული შენს სუნთქვას გრძნობდა.

ვაგონი ქროდა, ცისფერ ბილიკებს
ჩემი ოცნებაც თან მიჰყვებოდა,
გაფითრულ ტიტებს გულის ტატამზე
სასო სიცოცხლის უბრუნდებოდა.

ვაგონი მიქრის, გონებას მიცრის,
ემშას ხარხარი – უგირგლო ღრჯენა,
მე კი იმავ დროს უძიროდ მითრევს
შენი თვალების მორჩილი მზერა.

საით მიქრიან უდაბნოს გზები,
წარსაწყმენდელი მაცდურ-ვერანნი,
სად მიმაქროლებს, ნეტავ ვიცოდე,
ჩემი ლურჯა და ჩემი მერანი.

ვაგონი ქროდა, ბაქანსაც ხმობდა,
სული განცდისგან ტკივილსაც გრძნობდა
და ამ ლაქია წუთისოფელში
საშველად მხოლოდ ღვთისმშობელს ხმობდა.

2008 წ.

მაწვალეს შენი ბაგენი

დამეწყო თეთრი ღამენი,
სეველა მორეულ დარდისა,
მაწვალეს შენი ბაგენი
ხილვად ნამთხვევი ღამისა.

ისევ მანათებს თვალები,
პირ-ბაგე სარო სახისა,
რით ვამცნო ჩემი წუხილი
შუქსა მოფენილს მთვარისა.

დამიბეჩავა სოფლისა
წაღმა-უკუღმა ტრიაღმა,
დამაწყებინა ბოდვები
გუღმა ვერანმა ტიაღმა.

წუთისოფელო, შენ ვინცა
მოგენდო, გულით გეძია,
ყველა მოგუდე, მოახრჩვე,
გახადე ეშმას კერძია.

შენი აჩრდილი თან დამდეგს,
ვით კრავსა მგლების ხროვაო,
შენც მოგკითხავენ ყოველსა,
როცა მსაჯული მოვაო.

2008 წ.

ველარ მოვთოკე ეს გული

ვერ ვხვდები, რატომ ვერ ვუძღვებ
შენი თვალების მზერასა,
ველარ მოვთოკე ებ გული,
მაინც მიბრძანებს ცქერასა.

რა ვქნა, რა ბედი ვიწიო,
ველარ ვუშველე თავსაო,
შენ მაღლა-მაღლა მიიწევ,
მე დაბლა ვეძებ წყალსაო.

ტიალ-ჭაღარა გზად მიგებს
კლდეთა ხრიოკთა ხლართსაო,
გული საგულეს ქარიშხლობს,
არ დავთმობ მე ამ ქალსაო.

გიჟია გადარეული,
ვერ დაუტევებ წამსაო,
შეგიყვარა და უმუხთლე,
მაინც არ გავნებს ავსაო.

დაელოდება იმ დროსა,
სინანულს მისცემ თავსაო,
მერე გაქრება უჩუმრად,
მიეფარება თვალსაო.

ასეა წუთისოფელიც,
მწარესა ურევს თაფლსაო,
ტანჯვა-წამებით გიმზადებს
მარადისობის სახლსაო.

2012 წ.

მოღერებული ყელი

ვერ გაგიმხილე გულისნადები
იმ სიყმაწვილის ჩემი,
ვერ გაგიმხილე ის ანთებული,
რომ მქონდა ტრფობა შენი.

წლებმა ტიალმა გადაიარა,
იარა მადევს გულზე,
ნეტავ იმ დროსა შენი ხატება
მერჩია უკვდავ სულზე.

როგორც აჩრდილი ისე დამსდევდა,
შენი ღამაში სახე,
და ის ადგილი მენატრებოდა,
პირველაც სადაც გნახე.

წასული წლები ქარმა წაიღო,
დამრჩა ნათელი ფერი,
ისევ მანათებს შენი სახე და
მოღერებული ყელი.

და თუ ოდესმე კვლავ შემხვდი, ქალო,
მიჯნურის ტრფობით ცხელით,
ირმის წყურვილით მიგეახლები,
ჩაგიკრავ მკერდში წრფელით...

2012 წ.

კალთა ცრემლებით ივსება

ქალავ, რად იცხებ თვალებზე
ფერუმარილის ცხიმსაო,
შენ ისემც ჰგავხარ მთვარესა
და მზით მოვარდნილ სხივსაო.

ან რად ჩაიცმევ კაბასა
მოკლესა მკერდ-შიშველიანსო,
ათასის გულის მბილწავსა,
ურცხვსა და ცოდო-ფრთიანსო.

ფერ-უმარილით დაფერავ
თვალ-წამწამ ბაგე-სახესა,
სოდომის კეთილდღეობით
სიყვარულს უგებ მახესა.

არც ადათ-წესებს დაგვიდეგ,
არცა რჯულისა მცნებასა,
მიჰყვები წარსაწყმენდელის
წუთისოფლისა ნებასა.

სად გაქრა ქართველ ქალების
კდემა, პატვი, ღირსება,
ჩვენი შემყურე ღვთისმშობლის
კალთა ცრემლებით ივსება.

მარიამ მაგდალინელის
სული გფარავდეთ ყველასა,
ღმერთსა ვთხოვ ჩემი ქართველის
ბოლოუამს გადარჩენასა.

2012 წ.

მეგობრული უარში,
მილოცვები
და
მოგონებები



ალექსანდრეს

ელიაობას მოვლენილს
შეგარქვეს ლექსო ბიჭია,
ზენამ განგების მადლითა
მოგმადლა ბევრი ნიჭია.

სუხიშვილებსაც იქნება
ასწავლო ერთი ფანდია,
ისეთი კაცი იზრდები,
მე რომ გიყურებ – ნაღდია!

უფროს ძმებს ხშირად ჯიქაობ,
ბევრჯერაც დაგირბევია,
ვაი დედასა იმასა,
ვინც მაგათ ახირებია.

დაბადების დღეს გილოცავ,
ლექსი ხარ, ლექსო, ლექსია,
მამულის სადარაჯოზე
შენც მყავხარ ერთი მწყემსია.

2 აგვისტო 2015 წ.

**აღექსანდრეს (სანდროს)
(ჩემს ნათელულს)**

ამ ჭიჭყინა მარტის თვეში,
გაჩნდა სანდრო ბიჭია,
ბავშვობიდან რომ დაჰყვება,
სულ ცველქობის ნიჭია.

ერთხელ ჩუმათ გაგვეპარა,
როგორც ირემს ნუკრია,
მოგვატარა მე და ტარასს,
ნახალოვკა-კუკია.

ერისიონს დღეს ამშვენებს
მისი სოლო წრიული,
აჭარული, ყაზბეგური,
ქართული თუ მთიული.

გაიზარდე ჩემო სანდრო,
მოკაშკაშე მნათია,
და არასდროს დაგავიწყდეს,
სხვებთან ერთად ნათლია.

12 მარტი 2015 წ.

9 წლის ბიორბი კიბიზურს

ჩემო გიორგი, მე დავინახე
პატარა ერის გაქვს დიდი გული.
თუკი არ კვდება დღეს საქართველო,
შენისთანებით მას უდგას სული.

მჯერა იზრდები მამულისათვის
ეგრე ღამაზი მედროშე ბიჭი
და იმ კალმისა ხმალივით ბასრის
მადლი ჰქონოდეს უბადლო ნიჭის.

მალე დადგება ახალი წელი,
ახალ ღექსებსაც მოვისმენ შენგან,
შენ კი ამობილო პატარა ღექსი
დღეს სამახსოვროდ მიიღე ჩემგან.

1996 წ.

თენგიზ თურქიას ხსოვნას (ნათლიას)

ნათლი მახსოვს შენი სახე,
მოდომარე თვალები,
რომ გიყვარდა მასპინძლობა,
სტუმრის, გულის კარებით,

რომ გიყვარდა ქართველობა,
ჩვენი მამა-პაპათი.
ქრისტეს რჯულსა მაზიარე,
წესითა და ადათით.

მიყვარს შენი გახსენება,
როცა სევდა მერევა,
და ტაძარში სანთლებს ვანთებ,
ცრემლი ცვარად მელვრება.

ისე წახველ ამ ქვეყნიდან,
გული ველარ ვიჯერეთ,
და ნაყოფი ამა სოფლის,
ერთად ველარ ვიგემეთ.

ზეცას ღმერთი შეგეწიოს,
ნათლისცემის ჯვართა,
აქ კი სვამდნენ მოგონებას,
შენის, საგსე ჯამითა.

თებერვალი 1996 წ.

ბურამ ხახუტაშვილის ხსოვნას

სიკვდილის კარზე მისული
არ მეშინოდა მუდამ,
სიცოცხლე მეტი მიყვარდა,
მიტომ მიშველეთ, გურამ.

გვერდში მედექი ძმასავით,
მიტომ მიტირის გული,
შენ არ მოკვდები არასდროს,
სანამ მიდგია სული.

ყველამ გიტირა ცრემლებით,
მე არ ვიყავი ერთი,
კაცი იყავი ამქვეყნად,
გფარავდეს ზეცას ღმერთი..

ვისაც აღსოეხარ მეგობრებს,
აღბათ შეგროვდეს მრევლი,
სუყველას გული შესტკივა,
თვალი ევსებათ ცრემლით.

სანთლად ენთება სახელი,
კელაპტარივით მუდამ,
არდავიწყება შენს სახელს,
ძმად შეფიცულთ, გურამ.

1996 წ.

ცოტნე – იური ტულუშს

მე პატარა ქართველი ვარ,
ღვთის მოშიში მოყვარული,
ჩემი ტურფა საქართველო
არის კოხტად მოქარგული.

ღვთისმშობლისა წილხედომილი
მერგო მიწა და მამული,
წინაპართა სისხლით არის
გაპოხილი, დანამული.

ჩემო დედავ, ჩვენო დედავ,
ვხედავ ირგვლივ რომ ბინდდება,
მაგრამ ბინდში ის ჯვარცმული
საქართველო გაბრწყინდება.

7 ოქტომბერი 2008 წ.

სერგი კვანტალიანს

სერგი, ბაბუ გენაცვალე,
ჩემო ლალო ბიჭო,
საქართველოს მომავალო,
ღვთის განძო და ნიჭო.

მიხარია შენ რომ მყავხარ
ლამაზი და ნაზი,
გენაცვალოს შენ ბაბუა
ალექსანდრე ლაზი.

მინდა ვიყო მე შენს გვერდში,
გეფერო და გზარდო,
მუხანათი სოფელია,
არც ეს დაიდარდო.

მე ხილვაში უკვე ვხედავ
შენს ტატამზე გასვლას
და ურდოთა ბეჭებს ვხედავ
იმ ტატამზე გასვრას.

ბაბუ, კვერცხებ გენაცვალე,
ჩემო ლალო ბიჭო,
საქართველოს მომავალო,
ღვთის განძო და ნიჭო..

დაბადების დღეს გილოცავ,
სამი წლის ხარ, ბაბუ
და ჩვენს შორის წყენას მარად
უნდა დავსდოთ ტაბუ.

23 იანვარი 2012 წ.

კონსტანტინე „ქართველს“
დეკანოზ ლეიშვილს
(კუეის წმ. ნინოს ეკლესიის წინამძღვარს)

უბრალო მოკვდავს სად ძალმძის
თქვენზე ლექსისა წერაო,
მაგრამ თუ გულით მოგინდა,
მოგეშველება ზენაო.

უფალი ბრძანებს, გახსოვდეთ!
თუ შემიდგებით თქვენაო,
არ აგცილდებით სოფლისგან
გმობა, კიცხვა და დევნაო.

გაუსაძლისი რამ არის
ბნელთ მოციქულთა ფსტვენაო,
ოცდაათ ვერცხლად გაყიდულს
როგორი გინდა თმენაო.

ცისა და მიწის დესპანად
თქვენ დაგადგინათ ზენამა,
წყალობა ღვთისგან ნაბოძი
ვითარ აღწეროს ენამა.

„კონსტანტინე დიდს“ უფალმა
მოჰმადლა „ჯვრითა“ წყალობა.
ხმლითა შემუსრა მტარვალნი,
რა ზეცით ესმა გალობა.

შენ კი მოძღვარო, ჯვრით ებრძვი
ფარისეველთა მოღვმასა,
მიყვარს, ვსულდგმულობ, მიხარის,
რაც პაპათაგან მოგვდგამსა.

დაბადების დღეს გილოცავთ
მრევლის სახელით ნინოსა.
თქვენისთანებით სამშობლომ
არასდროს მოიწყინოსა.

27 თებერვალი 2012 წ.



პოეზ ეთერ გობეჯვილ-ისაკაძეს (ჩემს დასა და მამულიშვილს)

ათასში ერთი თუ არის
თქვენებრ მებრძოლი სულისა,
სამშობლოსათვის ერთგული,
მისთვის დამთბობი გულისა.

გურიის კალთას მოვლენილს,
ძირძველი კოლხეთისაო,
ნენამ გშვა ღვინობისთვეში,
ოცდახუთ ოქტომბრისაო.

თქვენი ღექსების კითხვის დროს
ჟრუანტელ მამდის ტანსაო,
გორდასა ვფერავ და ვლესავ
მტრისა შემშუსვრელ ხმალსაო.

წინაპართ სისხლით გაპოხილ
და ოფლით მორწყულ ქვაზედა,
მჯერა გიდვრიათ ცრემლები
გულ-დაკოდილის ხმაზედა.

ეგ ჩვენი მიწა მამული
დედა ღეთისმშობლის ხვედრია,
მისი აუგად ხსენება
ვერავის გაუბედია.

იმპერიები გამქრალან
მიმტაცებლები ქვეყნისა,
განგება არვის შეარჩენს
გამკითხავს სხვისი ბედისა.

ცელით ცელავდნენ ქართველებს,
მოყვასისა და მტრისაო,
მაგრამ ვერარას გვაკლებდნენ,
კალთა გვფარავდა ღვთისაო.

დაბადების დღეს გილოცავ,
შევსვამ ნაჟურსა ვაზისა,
გთხოვ სულგრძელობით მიიღო
ლოცვა კოლხელი ღაზისა.

25 ოქტომბერი 2013 წ.

ეთერ ღაო

ტაო-კლარჯეთს, საინგილოს
შენ რომ ცრემლი ვიდვრია,
ეგ ცხოვრება სამშობლოსი
სიყვარულით გივლია.

სად მერცხლები შემოგებნენ
ჩვენზე მონატრებული,
ტაოს ირმებს ნუკრი ახლდათ
ქედზე ყელმოღებულნი.

შენ კი სევდით მტრედებს სცქერდი,
ჩამომსხდარებს ქვაზედა,
უხაროდათ რომ უბნობდით
მონატრებულ ხმაზედა.

წინაპართა ძვლები ნახე,
საფლავთ მიმოფანტული,
ამ შაითნებს როგორ უნდათ
წაგვიღეკონ ქართული.

მაგრამ არა, არ მოხდება
იბერთ გადაშენება,
ჯვარზე გაკრულს გველოდება
გაბრწყინება, მშვენება.

ვახტანგ მეფეს დღეს იხსენებს
სულით ნაღდი ქართველი,
ღმერთო, ივერთ მოუვლინე
ქრისტეს რჯულის მმართველი.

შენ კი, ღაო, დაგილოცოს
ზენამ გარჯა, ამაგი,
არასოდეს დაგლეოდეს
სიყვარულის მარაგი.

2014 წ.

პოეტ ზურაბ გორბილაძის ხსოვნას

შენს მამულს ზურაბ, ტურა-მელა შემოსევია,
თავის წინაპრის ნაბოღვარი შემოლევია,
აკაკის ბოღმით ნანერწყვი აულოკნია,
უგონო მოყვასს ადასათვის დაულოკნია.

ბოლო ჟამია, ფარისევლებს ამოსდით კუდი,
ცოტანი დაგრჩით, ვისაც კიდევ ახურავს ქუდი,
ნუ გეშინიან, მცირედ საწყმოს გემოძღვრავს იესო,
დემონით პერობილ ღორის კოლტსაც თვისი მიუზღო.

პირველწოდებულს ტრაპიზონით შემოუვლია,
უქადაგია ათი მცნება – ქრისტეს რჯულია,
ვნებათა შორის უბოროტეს მტრობა შურია,
იუდას მოღმის დამთრგუნველი ისევ ფულია.

რით ვერ გაძეხით, უბადრუკნო, ეშმას მსახურნო,
საით გასცქერით თქვენს მომავალს, თვალახვეულნო,
ან როგორ გინდათ მას მიაგნოთ, გზააბნეულნო,
დმერთმა შეგინდოთ ეგ ცოდვები გონამღვრეულნო.

ველარ შემუსრავთ, საქართველო დედის ხვედრია
და ქრისტესავით ჯვარზე გაკვრა მისი ბედია,
მკედრეთით აღდგომა, ვით ლაზარეს, ახლო ჯერია
და იბერიის გაბრწყინებაც დამიჯერია.

2010 წ.

ზაზა ბორბილაძეს „უფლისას“

შობა დილას დედამ გშობა
გორგილაძის ბიჭია,
ღმერთმაც უხვად მოგაფინა
სულ ფერადი ნიჭია.

ყრმობის წლები ისე განვლე
აზას სპეტაკ კალთაში,
არ გიგრძენია შენ სიცივე
არასოდეს ზამთარში.

მამა თქვენთვის ვერ იცლიდა,
ქვეყნის ბედით გმინნავს
და ნაღვაწი ახლა მისი
სანთელივით ბრწყინავს.

შენით ჯერ ვერ დაიკვეხნის
მამა მაღლით ცაში,
დაიხსომე ეგ სოფელი...
მწარეს ურევს თაფლში.

იქნებ ოჯახს მოეკიდო,
ხელი ჰკიდო წელში,
კვლავ გაივსოს მარანი და
ღვინო გვესხას ქვევრში.

დაბადების დღეს გილოცავს
ეგრისელი ღაზი,
შენს სახელზე უნდა დავრგო
კოლხეთს ერთი ვაზი.

* */ *

წუთისოფელს, ჩემო ძმაო,
ვერც ვერავინ სძლევედა,
შენი წასვლით დაგვიტოვე
ნაღველი და სევდა.

2011-14 წწ.

ჟურნალ „პრეს-პრემიერის“ რედაქტორს ქეთევან სუსიაშვილს

სიყვარულის დღე ვინა სთქვა
თხუთმეტი აპრილისაო,
ან ცხოველივით ელოდო
გძნობას ამ ერთი დღისაო.

ყველა დღე ღმერთსა ეკუთვნის
და კაცთა მისგან ქმნილსაო,
ამ წრფელი სიყვარულითა
დადიან მოშიშნ ღვთისაო.

მარიამ იყო მამიდა
მეფისა დავითისაო,
განგებით ქმნილი უებრო,
მრწამსით მოშიში ღვთისაო.

ორი კეისრის სარეცელს
იყოფდა ბასილისაო,
მაინც ვერ დათვრა, მიჯნური
ირჩია მშობელ მხრისაო.

და შეიყვარა გრძნობითა
სარდალი ძმის-წულისაო,
აზნაურ იყო უციხო,
ვაჟკაცი იბერთ მხრისაო.

შენ რად ინდომებ, ქეთევან,
ცოლობას კეისრისაო,
რომ ნოსტალგიას მიეცე,
შემდგომ კვლავ მშობელ მხრისაო.

ასჯერ გაზომე და ერთხელ
დაჰკარ მახვილი ხმლისაო,
თორემა გვიან დაურჩეს
ენის მოთოკვა კბილსაო.

პრემიერელებს დაგჩემდათ
ვარსკვლავთა კრეფა ცისაო,
სულ მცირე კლდესთან ჭიდილი,
დაპყრობა მწვერვალსაო.

რომ წარმოვიდგენ თქვენს გვერდით
თქვენს რესპონდენტებს ფრთხილსაო,
აღბათ კალამის აჩრდილიც
ჰგონიათ წვეტი ხმლისაო.

შეყვარებულსა ქართველსა
ტალღა ვერ აპობს ზღვისაო,
ველარ აკავებს ენგური
გულს თარაშ ემხვარისაო.

ტატოს მერანიც გაურბის
სოფელს ფანდების მტრისაო,
ტანო-ტატანო, რად ირჩევ
მხარეს კეისრის მზრისაო.

ქართველი ქალის მშვენება
აღლობს გულს ზოგჯერ ქვისაო,
„მის-მსოფლიოს“-აც დაჩრდილავს
შენი თვალების მზრისაო.

შენ მომიტევე, უფალო,
გავკადნიერდე ქლისაო,
ეს ჩემი მხარე ხომ არის
მარიამ ღვთისმშობლისაო.

მაშ, დაგილოცავ, ძვირფასო,
მომავალს შენი დღისაო,
ლექსი კი „შარუად“ მიიღე
ერთი კოლხელი ძმისაო.

აპრილი 2005 წ.

შურნალ „პრეს-პრემიერის“ რედაქტორის მოადგილეს ქეთი ყველაშვილს

ვირთხის წელში დაიბადეთ,
ქალწულობით იწერთ ნიშნებს
და ვერ იტანთ ამა სოფლად
წუთისოფლის დამქცევ ვირთხებს.

ველარ იტანთ ჩვენი ქვეყნის
შავ-ბნელ ძალთა წვედიად ფიქრებს
და გამოგაქვთ სინათლეზე
ჩანაფიქრი რაც აქვთ ფლიდებს.

იქარიან თქვენი შიშით,
აგროვებენ ოქროს ფილებს,
ყიდულობენ საზღვარგარეთ
პაწა ქოხებს და დიდ ვილებს.

სამგზავრისად ჩემოდნებში
ილაგებენ წინდებს თბილებს,
მაგრამ ის კი არ უწყვიან...
ბოლოს ყველა დააფქვილებს.

თქვენ კი „ფანად“ მოველინეთ
გასაჭირში პრესის მკისველს,
ამიტომაც ვერ გიტანენ
უზნეონი კრეჭენ კბილებს.

მადლა-მადლა რომ ადისართ,
„დოკუმენტურს“ კრიბავთ ფირებს,
პაექრობას რად უცხადებთ
თქვენს კოლეგა „ქეთი პირველს“.

ის „კეისარს“ ეძებს სადღაც,
თქვენ პრეზიდენტს და მის ფიქრებს,
თუკი დიდხანს გააჯანჯლებთ,
თქვენს ოცნებებს დააფიფქებს.

ამით დაგემშვიდობებით,
„შარჟი“ არ ჰგავს „პატერიკებს“,
დაგილოცავთ, წრფელ ოცნებებს,
უწყინარ და ლამაზ ფიქრებს.

აპრილი 2005 წ.

ჩემს ლამაზ შვილებს

თქვენ რომ არ მყავდეთ, შვილებო,
მოშიშნი ღვთისა ნიჭისა,
თქვენ რომ არ იყოთ დედები
მტრისა შემუსვრელ ბიჭისა.

რა გამაძლებდა ამქვეყნად
დატანჯულს ცოლო დარღითა,
თქვენით ვარ, თქვენით მეამის,
დავდივარ ღვთისა მადლითა.

წუთისოდელი ბნელია,
ბნელის ძალებით მოცული,
სიკეთეს ვერას დააკლებს
ბოროტისაგან მოსული.

ბოლო ჟამია, შვილებო,
ვილოცოთ წრფელი გულითა,
ვაი დედასა იმათსა,
ვინც დადის ბოდმა-შურითა.

იესო ჯვარზე ეწამა,
ჩვენი ცოდვების მსხნელადა,
ტანჯვა ტკივილის გარეშე,
ვერ გადავრჩებით ვერადა.

იქნებაც ბევრჯერ გატკინეთ,
მოსიყვარულე გულია,
ტანჯვაში ჯვარცმით იწრთობა,
ჩვენი უკვდავი სულია.

დე ადესრულოს ყოველი,
განგებით რაც გვიწერია,
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეთ,
გემუსროთ სულის მტერია.

2009 წ.

ესმა – ქალი

იქნებ თოვლა, იქნებ ქროდა,
დეკემბრისთვის იდგა დარი,
ცამეტ რიცხვში საქართველოს,
მოველინა ესმა ქალი.

კოლხეთია მისი ნანას,
მისი ბაბას მიწა-წყალი,
და სრულიად საქართველო,
როგორც ხატი საფიცარი.

და ვინც პირველ იქადაგა
ლაზთა შორის მოწიფულად,
ღვთისმშობლისგან იყო გზავნილ,
ის ანდრია მოციქულად.

და ვინც პირველ მოაშენა,
სალოცავი სახლი ღვთისა,
იყო ვახტანგ გორგასალი,
ღელა-ბოძი თბილისისა.

ანდრიას და ვახტანგ მეფის,
ხსენების დღეს გაჩნდი კარგო,
იმათ რწმენას გისურვებდი,
ღვთის სათნოს და საამაყოს.

დაბადების დღეს გილოცავ,
იმ ღამაში შობის თვისა,
უღრუბლო ცა დაგნათოდეს,
უკეთესი მომავლისა.

13 დეკემბერი 2006 წ.

თამუნა

გიორგობის თვეს შობილხარ,
შობის თვის მოგდის მადლიო,
წუთისოფელმა გარგუნა,
ბევრი ცრემლი და დარდიო.

მამის ტკივილით ცრემლები
არ შეგშრობია თვალზეო,
დედაც იმავე გზას აუყვია,
ზეცაში მამის კვალზეო.


მჯერა რომ მათი სულები,
ღმერთსა ვედრიან შენზეო,
გეფერებთან ძილშიაც,
სხედან სარეცლის გვერდზეო.

მეოხად ღვთისმშობელი ჰყავს
ქვეყნად ქართველსა ერსაო,
არ შეუშინდე სოფელსა,
არ გაჰყვე მისსა გზებსაო.

გულით მიაგე პატივი,
ხსოვნას დედის და მამისა,
რომ გინათებდეს ამქვეყნად,
შუქი მზისა და მთვარისა.

არც პატარა ხარ, არც დიდი,
თუმც ბევრი რამ გაქვს განვლილი,
თამარ ქალივით გეტაროს
ქართველი ქალის მანდილი.

დაბადების დღეს გილოცავ!
მუდამ მენახეთ მზიანი,
ღვთისმშობლის კალთა გფარავდეთ,
მეოხი მარადიანი...



2006 წ.

ბიბი ოქროპირიძეს

ჯერ ვერ გიცნობ, მაგრამ ლექსი
მოვისმინე შენი,
გავიფიქრე მეყვესეულად,
მოყვასია ჩვენი.

რადგან უკვე, ჯერაც ყმაწვილს,
წყლული გადევს გულზე,
შენი ქვეყნის მომავალზე
ფიქრობ როგორც სულზე.

და რომ შესცქერ შენს მამულში
ურჯულთა გნიასს,
აფხაზეთს და სამაჩაბლოს,
სხვა დროშების ფრიალს.

გულში ფიცხი გაგიელვებს,
როგორც ელვა-მეხი,
და ძმა იყო ის იუდა,
რომ შეგვიკრა ფეხი.

მაგრამ არა, არ შედრკება!
იბერთ ძუ და ხვალი!
გვირაბს ბოლოს უკვე მოჩანს
ჩვენი განთიადი.

„რაცა ღმერთსა არა სწადდღეს.“
არ იქნება, გიგი,
მწუხარების ჟამსა შეცვლის,
სხარულის რიგი.

ცამეტ აპნისს მოვლენისარ,
ძლიერი და ნაზი,
დაბადების დღეს გილოცავს,
ეგრისელი ღაზი.

და შენც მოემეუ ნაყოფი ხარ,
იმ ქართული თესლის,
ვინაც უნდა გააგრძელოს,
წერა შოთას ლექსის...

2012 წ.

ლეკან

რად მოჰკალი დედის გული,
რად დაფერფლე ასე,
მკათათვეს რომ აუყევი
სასუფეველის გზასვე.

მუხლმოყრილი დაგინახეს,
ხატების წინ მდგარი,
და თუ ღმერთი შეიყვარე,
შენ არა ხარ მკვდარი.

ბევრი ცრემლი დაიღვარა,
ბევრიც გულში ტირის,
ძნელი არის წუთისოფლად
დატირება შვილის.

მომიტევე, ჩემო ლევან,
თუ ვერა ვთქვი ისე,
მაგრამ მოსახსენებელში
მასხენდები მყისვე.

ზეცას ღმერთი შეგეწიოს
ანგელოსთა დასით,
აქ კი შენსა მოსაგონარს
სვამდნენ სავსე თასით.



17 ივლისი 2013 წ.

თამარ მელიქიძეს (მამა აკაკის ქალიშვილს)

საქართველოში იბადებოდნენ
და ისევ მასვე სწირავდნენ თავსა,
სამოთხის დარი მამულისათვის
და ღვთის წინაშე იხდიდნენ ვაღსა.

დღეს საქართველო დაფლეთილია,
ათას მოშურნეს უამებს თვაღსა,
მაქვს სასოება ზეციურ მამის,
ლაზარესავით აღადგენს მასსა.

შენ აფხაზეთში დაბადებულხარ,
ოდეს ეგრისის ზღვისპირა ბარსა,
მოციქულთა სწორს სომონ კანანელს
მანდა აქვს ბინა, დარაჯად დგასა.

დარაჯად დგანან ასი ათასნი,
ქრისტეს რჯულისთვის რომ დებდნენ თავსა,
ნიკოფსიიდან დარუბანდამდე
კვლავაც გადასცემს მამალი ბანსა.

დაბადების დღეს გილოცავ, თამარ!
ანტონ მარტყოფლის ხსენების დღესა,
რომ ცათა შინა უფლის წიაღში
მასავით ნათლით ემსგავსოთ მზესა.

2010 წ.

თათია აბულაძეს
(დაბადების დღეს 7 ოქტომბერი)

ღვინობისთვის მოვლენილა,
ეგრისს ქალი თათია,
მოჭიკჭიკე მერცხალი და
მშობლის გულის ხატია.

მითხრეს კარგად სწავლობს ქალი,
ირგვლივ ყველას ახარებს,
ბაბუს, ბებოს დანატოვარს,
არავის არ აკარებს.

აშანტაუებს ყველას ირგვლივ,
მე ვარ აბულაძეო,
ლეკვი ლომის თუ სწორია,
მე ვარ ბაბუს გვარზეო.

საქართველოს დღეს იარა,
გულზე გადაფენია,
სამანაბლო – აფხაზეთი,
გუშინდელი დღენია.

მაღე ღრუბლებს გადაფერავს,
მზით მოსული სხივები,
იბერიას შემოსძახებს,
შენისთანა შვილები.

ერთად, ერთად უნდა დავდგეთ,
რომ დავგადგეს საშველი,
საქართველოს პატრონობდეს
აფხაზი და ქართველი.

რომ იარონ ჩვენს მიწაზე,
ლექსომ, თათიმ, ხატიაშ,
და გვავესებდეს წუთისოფლად
სული წმიდის მადლია.

დაბადების დღეს გილოცავ,
ჩემო თათი, თათია.
ჩვენი წმინდა სალოცავი
საქართველოს ხატია...

7 ოქტომბერი 2015 წ.

დას და მგოსანს ერისაო

როგორ მინდა მოგეფერო,
დას და მგოსანს ერისაო,
ნაკუწ-ნაკუწ დაფლეთილი,
ჭირისუფალს ქვეყნისაო.

შენი ღექსის წაკითხვის დროს
გულში ცეცხლი ეღვისაო,
ხანაც ცრემლი ნიაღვარობს,
ხანაც ჯიქურ მღერისაო.

მაგონდება შავი ჩოხა
შავლეგ ტანით ხმელისაო,
წინაპრები რომ იბრძოდნენ,
მუზარადით მგელისაო.

დრო მოვა და გავიგონებთ,
ხავილს ირმის, შეველისაო,
ნიკოფსია დარუბანდით,
მამლის ყვილს ელისაო.

შენ კი, დაო, მოგაველინა
ზენამ ზეცით ჩვენისაო,
მუხლს ვიდრეკ და ვმადლობ უფალს,
მეგობრობით შენისაო.

და თუ კრებულს ელოდები,
მოწიწებით ჩემისაო,
ქრისტეშობას ემსგავსება,
ებრაელთა ერისაო.

ვიცი, ვიცი შენი გულის,
თუ რარიგად მღერისაო.
მრავალ ამ დღეს დაესწარი,
ღვინობისთვის თვეისაო...

25 ოქტომბერი 2015 წ.

პარლამენტი ქართული

ვისაც უყვარს ლაყბობა და
მკერდზე მუშტის ბრაგუნი,
აირჩიოს გასართობად
პარლამენტი ქართული.

ვისაცა ჰყავს ნენე-ბაბა,
ბიზნესმენი მშობელი,
შემოვიდეს პარლამენტში,
ერთი დანის მფლობელიც.

ზოგი დასავლეთს გასცქერის,
ზოგი ჩრდილო მხარესა,
ერთი გვერდებს გვიღეწავს და
მეორე გვთხრობს თვალებსა.

რწვილსა თურმე ატყავებდნენ
ვანელი და ხონელი,
ბედუკუღმართს აღარ დარჩა
მომკითხველი მშობელი.

ვისაც სკამი ძლიერ უყვარს,
როგორც ბავშვებს მალიშე,
ბრძოლა გელით, რომ იცოდეთ,
ყველა წესის გარეშე.

და თუ ჩხუბი არ გამოგდით
წინაპრიდან გვარშია,
მაშინ სცადეთ, რომ მოერგოთ
პრეზიდენტის ნალშია.

პარლამენტი, პარლამენტი,
ზოგი მენტი, ზოგი კენტი,
მერე უცვბ სადღაც პლენტი,
პარლამენტი, პარლამენტი.

პარლამენტი, პარლამენტი,
ჩაცხე ბიჭო, მარდად კეტი!
მერე ერთად გაგაბოლოთ,
“პარლამენტი – პარლამენტი”.

2003 წ.

სარჩევი: ჩემო საქართველო

შენ მამულო, არ მოხარო ქედი	3
ჩემო საქართველო	4
ქართველი მაინც თავისას იტყვის	6
მგლის მუხლა უნდა იზარდო	8
ჩვენ არ დავუშვებთ შინდისფერ დროშას	10
დედე ღურდანი ერთი აქვს ქართველს	11
ბათუმო	13
შენ ზიხარ ჩუმად	14
შემოსძახეთ ძველებური დარდიანი	15
წინ ვაინახნო, გიორგის დროშით	16
ღმერთო აგვიხილე თვალი	18
9 აპრილი	19
შენ აფხაზეთო	20
ყვავილის სუნთქვა	21
თვალ-ახვეულნო	22
მამული დაგვრჩა ფეხზე სადგომი	23
ახალგაზრდობავ ფრთები აისხი	24
შეიყვარეთ ქართველებო ერთმანეთი	25
ცხენისწყალი – ბაზალეთი	26
ნუ მოგვაკლებ სხივსა მზისა	27
ჩემი აკვანი მაშ რად დაირწა	28
იესოს მცნებით	29
საქართველოს მთლიანობა დამილოცე	30
შავი წიგნი	31
იქნებ დროა	32
დედა	33
მტერი ერთი ჰყავს ალგეთის შვილებს	34
ყველაზე ძლიერს დაუმონებელს	37
შენ მეზურნეე დაუკარი	38
არ მინდა ვისმეს ეტეინოს გული	39
ერის სულო დაქანცულო	40
ვერცხლზე გავყიდეთ	41
დედე დაუდგებათ შადიმნებს	42
დედა	43
ჰე მამულო გაიღვიძე!	44
შეგონება	45
აღსდექ საქართველო	46
მაინც მომავალს მოაქვს ნათელი	47
დააკვირდით ბოლო უამის ნიშნებს	48
უფლის სახლში მაცხოვარი მოთმინებით გველოდება	49

უნდათ მოჰკლან საქართველო მარად	50
ქართველნი ლოცვას ეშურვეთ	51
გიორგი (იური) ანუას და მამა ანდრიას (ყურაშვილის) ხსოვნას	52
ემიგრანტები	54
მასწავლებელი	56
შენი ჭირიმე ვაჟო	57
ჩემო ლაზიკა	58
ერის მამაო	60
უზენაესო ზენაო	61
გაუმარჯოს ჯვარზე ნაკვეთ	62
იმერეთო	63
სიღარიბე, სიღარიბე	64

თეთრი ღამე

თეთრი ღამე	66
ამჯობინებდა აქ შენთან ყოფნა	67
ნავისვამ მკერდში	68
ჩემთან ჩემი დარდები	68
ასე ლამაზი არსად არ დადის	69
ვერ მანუგეშებს მე შენი მხერა	70
მე ჩემს განწყობას ლექსებში ვრითმავე	71
დაიმახსოვრე ძვირფასო	72
დავიარები სალოცავს	73
მაგრამ იდგა შეათვალება სხვისკენ	74
იქნება შენაც მართალი იყავ	75
მოვედი და ვედარ გნახე	77
„ვაგლახ ჯორს ვერ მოერიო“	78
წუხელ დამით	79
წმინდა სანთლები იწვის	80
ნოსტალგია	81
სანთლები ამინთეთ	82
მაინც მოვალ გიპოვნი	83
იქნებ სულ არ დამენახე	84
მე ვერ გავძლებ უშენოდ	85
ვის სჭირდება პირამიდა აგებულები	87
ჩემი ხატია	88
როცა მთერალი ვარ	89
სიყვარულის დღე	90
ცისფერთვალება ქალო	91
ჩემო ციციანთელავ	92
არ ვიტკინოთ გულია	93
ანთებულები სანთლები	94
უფლის რწმენით დავინამო	95

პირველ გაზაფხულს	97
მხოლოდ ღმერთი შეიყვარე	98
შემოდგომის ქარი	99
თეთრი რაშით მოჰყავდა	100
სიცოცხლის წყაროვ	101
ვაგონი ქროდა	102
მაწვადებს შენი ბაგენი	103
ვეღარ მოეთოკე ეგ გუელი	104
მოდერებული ყელი	105
კალთა ცრემლებით ივსება	106
პარლამენტი ქართული	107

მეზობრული შარჟი, მილოცვები და მოგონებები

ალექსანდრეს	109
ალექსანდრეს (სანდროს) (ჩემს ნათლულს)	110
9 წლის გიორგი ძიძიგურს	111
თენგიზ თურქიას ხსოვნას	112
გურამ ხახუტაშვილის ხსოვნას	113
ცოტნე-იური ტულუშს	114
სერგი კვანტალიანს	115
კონსტანტინე “ქართველს”	116
პოეტ ეთერ გოგეშვილ-ისაკაძეს	118
ეთერ-დაო	120
პოეტ ზურაბ გორგილაძის ხსოვნას	121
ზაზა გორგილაძეს „უფლისას“	122
ქეთევან სესიაშვილს	123
ქეთი ყველაშვილს	126
ჩემს ღამაზ შვილებს	128
ესმა – ქალი	130
თამუნა	131
გივი ოქროპირიძეს	133
ლეკვან	135
თამარ მელიქიძეს (მამა აკაკის ქალიშვილს)	136
თათია აბულაძეს	137
დას და მგოსანს ერისაო	138
სარჩმეძი:	140

© გამომცემლობა „ზენაარი“,
თბილისი, ზანდუკელის ქ. №1,
ტელ.: 5 99 343 727
ელ. ფოსტა: zurkob@gmail.com

რედაქტორი: *ზურაბ ქობალია*

დიზაინერ-დამკაბადონებელი:
ნიკო იბერი (ჯანიაშვილი)

წიგნი გამოსაცემად დააფინანსა -
ლელა და ირმა წოწორიამ






ჩემო საქართველო



ალექსანდრე ლაზი
(წოწორია)



თუ მამულისთვის ანთიხარ,
ერთგულად უფლის მცნებისა...
ველარ წაგლეკავს წყვილიაღი,
მოშურნე უცხო ქვეყნისა...